მედიის განვითარების ფონდი

მედიის თავისუფლება 2015

ანგარიში

National Endowment for Democracy

Supporting freedom around the world

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ქელიის თავისუფლება 2015

შესავალი

ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის – NED-ის მხარდაჭერით მედიის განვითარების ფონდი – MDF გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს, რომელიც მედიის თავისუფლების მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს.

ანგარიში ეყრდნობა დოკუმენტების ანალიზს, საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას და მედიით გავრცელებულ ცნობებს.

ანგარიში შედგება 8 თავისგან და შემდეგ თემებს მოიცავს: სამართლებრივი გარემო; ფინანსური და ბიზნეს გარემო; მედია საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები; სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა/გადაცემების დახურვა; სამართლებრივი პრატიკა, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების საქმეებს მოიცავს; მედიასთან დაკავშირებული 2015 წლის მნიშვნელოვანი საქმეები, მთავრობის ადამიანის უფლებების 2014 წლის სამოქმედო გეგმის გამოხატვის თავისუფლების თავის მონიტორინგი და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში პოლიტიკური ოპოზიციის კანდიდატთა დამტკიცების პრობლემა.

შემდეგი ანგარიშები ყოვეკვარტალურად გამოიცემა და საზოგადოებას მედიაში მიმდინარე პროცესების შესახებ ტენდენციების გაანალიზების შესაძლებლობას მისცემს.

ანგარიშის ბოლო თავებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების მხრივ შექმნილ კრიზისულ ვითარებას შეეხება, ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაწილს, თან ახლავს რეკომენდაციები, რომლებიც პოლიტიკის განმახორციელებელ ინსტიტუტებს და მედიის სფეროს წარმომადგენლებს მედია გარემოს გაუმჯობესების მხრივ დაეხმარება.

ანგარიშის მთავარი მიგნებები

2015 წლის მოვლენების ანალიზისას შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

- მედიის და გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები კვლავ უზრუნველყოფს ჟურნალისტთა უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს. თუმცა, 2015 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რაც ძალადობრივი ქმედებების საჯაროდ მოწოდების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას არეგულირებს, ძალადობით მოტივირებულ დანაშაულთან არაეფექტიანი ბრძოლის პრაქტიკის გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანი-

ზაციებმა მედიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფთა და პოლიტიკურ ოპონენტთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკების შემცველად შეაფასეს.

- რეკლამის ახალი რეგულაციების ფორსირებულად შემოღება, მედიის ნაწილის მხრიდან სარეკლამო ბაზრის გადანაწილების მცდელობად შეფასდა. ახალი რეგულაციების შედეგად, 2015 წელს მხოლოდ ტელეკომპანია „იმედის" სარეკლამო შემოსავალი გაიზარდა 2,9 მლნ ლარით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 7.3 მლნ-ით შემცირდა, მაესტროსი – 5,3 მლნ-ით, GDS-ის – 788 114 ლარით.
- სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე ახალი კომპანიის გამოჩენამ ბაზრის გადანაწილების მცდელობის შთაბეჭდილება შექმნა. ახალი მოთამაშის გამოჩენას წინ უძღოდა 2013-2014 წლებში ბაზარზე მოქმედ ძველ კომპანიაში შემოსავლების სამსახურის ინსპექცია.
- კვლავ პრობლემად რჩება საბიუჯეტო რეკლამის განთავსება ისეთ მედიებში, რომლებიც სიძულვილის ენას და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივევებენ.
- 2015 წელს რეგიონულ მედია საშუალებაში საგადასახადო შემოწმების ერთი შემთხვევის შესახებ გახდა ცნობილი.
- 2015 წელს საკუთრებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ორ ტელეკომპანიასთან – რუსთავი 2-თან და მაესტროსთან მიმართებაში იჩინა თავი, რასაც წინ უძღოდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და გავლენიანი ფიგურის საჯარო განცხადებები რუსთავი 2-ისა და სხვა მედიების მიუღებელ სარედაქციო პოლიტიკასთან მიმართებით.
- 2015 წელს 3 პოლიტიკური თოქ-შოუ დიახურა. მმართველი პარტიის წარმომადგენლის კომენტარმა მაღალრეიტინგული თოქ-შოუების დახურვასთან დაკავშირებით, აღნიშნული პროცესით ხელისუფლების დაინტერესების შთაბეჭდილება შექმნა. რეგიონული ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელისა და ჟურნალისტების სამსახურიდან გათავისუფლება სარედაქციო დამოუკიდებლობაში მფლობელის ჩარევას უკავშირდებოდა.
- ცალკეული საჯარო დაწესებულებები, მათ შორის სასამართლოები, პერსონალური მონაცემების დაცვის საბაბით ხშირად საჯარო პირებთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც ასაიდუმლოებენ. დამკვიდრებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, MDF-მა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. ორგანიზაცია ასაჩივრებს ნორმის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც სასასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაში მონაწილე პირების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის დაფარვას დასაშვებს ხდის.
- 2015 წელს პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელების საფუძვლით სასამართლოში მოხდა ორი სარჩელის ინიცირება, რომელიც ჟურნალისტთა მხრიდან საჯარო პირების კორუფციაში მხილებას უკავშირდებოდა. კიდევ ერთი სასამართლო დავა ოპოზიციური პარტიის ოჯახის წევრის წინააღმდეგ ონლაინ მედიაში გამოქვეყნებული ფაქტების უარყოფას შეეხებოდა.
- 2015 წელს მედიის წარმომადგენელთა მიმართ ფარული თვალთვალის 2 და შანტაჟის 3 შემთხვევაზე გაკეთდა საჯარო განცხადება. აქედან 2 ტელეკომპანია რუსთავი 2-ს უკავშირდებოდა, 1 – საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს.
- მუქარის სამივე საქმე ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირდებოდა.
- ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელისშეშლის 3 შემთხვევიდან მყისიერი რეაგირება მხოლოდ იმ ფაქტს მოჰყვა, რომელიც ოპოზიციური პარტიის აქციას უკავშირდებოდა, ხოლო დანარჩენ 2 შემთხვევაში, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებას შეეხებოდა, მოკვლევის შედეგად ვინმეს მიმართ დანაშაულის ნიშნები არ გამოკვეთილა.
- უკანონო დაკავების სამივე საქმე ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედია საშუალების – „ტაბულას" თანამშრომლებს უკავშირდებოდა. აქედან 2 შემთხვევა უშუალოდ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან არ ყოფილა დაკავშირებული.

- მოწმის სახით ჟურნალისტების პროკურატურაში დაბარება მაღალი საჯარო ინტერესის თემების გაშუქებას და ერთიდაიმავე ტელეკომპანიას – რუსთავი 2-ს უკავშირდებოდა.
- ადგილი ჰქონდა რეგიონებში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის კონცერტების ჩატარების ხელის შეშლის მცდელობებს.
- 13 ივნისის მოხალისეთა ფეისბუკ გვერდის დაბლოკვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, თუმცა გამოძიებას ამ დრომდე შედეგი არ მოჰყოლია.
- მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის გამოხატვის თავისუფლების თავის 2014 წლის ანგარიშის შესრულების მონიტორინგმა აჩვენა, რომ სამართლადამცავები მედიასთან დაკავშირებულ გახმაურებულ საქმეებს არ აღრიცხავენ და არც სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ ფაქტებზე რეაგირებენ. დაწყებული გამოძიებები კი განუსაზღვრელი ვადით ჭიანურდება და რეალური შედეგი არ დგება.
- მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების მიღებიდან 2 წლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტში ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ოპოზიციის მიერ ნომინირებული კანდიდატების დამტკიცებაზე და საბჭოს 7 წევრიდან სწორედ ოპოზიციისთვის განკუთვნილი 2 ვაკანსიაა დაუკომპლექტებელი. მოქმედ საბჭოს წევრებს შორის კანონით დადგენილი როტაცია კი 2 წლის დაგვიანებით, ამ თემაზე MDF-ის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ მოხერხდა.

მედიის განვითარების ფონდის კვლევები ECRI-ის ანგარიშში

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიში[1] საქართველოს შესახებ, რომელიც 2016 წლის 1 მარტს გამოქვეყნდა, 2012 წლიდან 2015 წლის 17 ივნისის ჩათვლით არსებულ ვითარებას ასახავს. სიძულვილის ენის ნაწილში ანგარიში მედიის განვითარების ფონდის კვლევების მიგნებებს ეყრდნობა და რამდენიმე რეკომენდაციას ითვალისწინებს.

ანგარიშში საუბარია, როგორც საბიუჯეტო კონტრაქტების გაფორმების პრობლემაზე იმ მედია საშუალებებთან, ვინც სიძულვილს აღვივებს, ასევე მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურების არატოლერანტულ გამოხატვებზე.

> „მედიის განვითარების ფონდის მოპოვებული ინფორმაციით, 2013-14 წლებში ობიექტივმა მიიღო, სულ მცირე, 25 000 აშშ დოლარი, ხოლო გაზეთებმა „ალიამ“ და „კვირის პალიტრამ“ ერთად დაახლოებით 20 000 აშშ დოლარამდე სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან სარეკლამო კონტრაქტებისა და სხვა ხელშეკრულებათა სახით“, აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც შემდეგი რეკომენდაცია მოსდევს:
>
> **რეკომენდაცია:**
>
> - „ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ გადახედოს მის კონტრაქტებს მედია საშუალებებთან და გააუქმოს, ან განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიულ სიძულვილის ენის გამოვლენაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტები შეიცავდნენ დათქმას კონტრაქტის გაუქმების შესახებ, თუკი მედიაში გამოვლინდება რასისტული ან ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენა“ (33).

[1] http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf

სარჩევი

I. სამართლებრივი გარემო 10

2. ფინანსური და ბიზნეს გარემო 14

1.1. რეკლამის ახალი რეგულაციების გავლენა ბაზარზე 14

1.2. სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე ახალი გამზომი კომპანიის შემოსვლა 16

1.3. მედია საშუალებებზე საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების პრაქტიკა 18

1.4. საგადასახადო შემოწმება რეგიონულ მედია საშუალებაში 21

3. მედია საკუთრება 23

3.1. რუსთავი 2-ის საქმე 23

3.2. მაესტროს საქმე 32

4. სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა/გადაცემების დახურვა 38

4.1. ტელეკომპანია „იმედში“ თოქ-შოუების დახურვა 38

4.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუს დახურვა 40

4.3. ტელეკომპანი „TV 25“-ის ჟურნალისტების სამსახურიდან დათხოვნა 40

5. სამართლებრივი პრაქტიკა 42

5.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – პრაქტიკაში არსებული პრობლემები 42

5.2. გამოხატვის თავისუფლების საქმეები 47

5.2.1. პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორის ელისო კილაძის წინააღმდეგ 47

5.2.2. „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-სა და ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ 48

5.2.3. დავით ვაშაძე „ექსკლუზივნიუსის“ წინააღმდეგ 49

6. მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული 2015 წლის მნიშვნელოვანი საქმეები 52
6.1. ფარული თვალთვალი და შანტაჟი 52
6.2. მუქარა 54
6.3. ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელისშეშლა 55
6.4. უკანონო დაკავება 58
6.5. ჟურნალისტების მოწმის სტატუსით დაბარება 60
6.6. ჩვენების შეცვლის იძულება 61
6.7. საჯარო შეხვედრების შეზღუდვა 62
6.8. Facebook-ის დაბლოკვა 63
7. ადამიანის უფლებების 2014 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორნგი გამოხატვის თავისუფლების თავის შესრულების მონიტორინგი 64
8. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო – ოპოზიციის კანდიდატთა დამტკიცების პრობლემა 75

1 საერთლეგრივი გარეშო

მედიის და გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა ჟურნალისტთა უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს ქმნის, რასაც საფუძველი 2004 წელს მიღებულმა კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ შეუქმნა. 2015 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული რამდენიმე ცვლილება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ნაწილის კრიტიკის საგანი გახდა. ერთი მხრივ, ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯაროდ მოწოდების სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად შეფასდა, ხოლო მეორე მხრივ, რეკლამის განთავსებაზე ლიმიტების დაჩქარებული წესით შემოღება, მედია ბაზარზე ზემოქმედების მცდელობად იყო აღქმული. წინამდებარე თავში სწორედ ამ ცვლილებებს მიმოვიხილავთ. ცვლილებები კი შემდეგ კანონებში განხორციელდა:

1. ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში; სსკ 239’ – ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება;
2. ცვლილება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში – რეკლამის/სპონსორობის შესახებ ახალი რეგულირება.

ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება

2015 წლის 13 ივლისს „სისხლის სამართლის კოდექსში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიცირებული ცვლილებები ძალაში შევიდა. ანტიტერორისტული პაკეტის ფარგლებში განხორციელებულ სხვა ცვლილებებთან ერთად, აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსში 239[1] მუხლის დამატება, რომელიც ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდებისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კერძოდ, დასჯად ქმედებად განისაზღვრა ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის რომელიმე სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება ძალადობრივი ქმედებისაკენ რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნების მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოგდების მიზნით, თუ იგი ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ ან არსებით საფრთხეს.

აღნიშნული ინიციატივა ფრანგული სატირული ჟურნალის „შარლი ებდოს“ რედაქციაზე ტერორისტული თავდასხმის შემდეგ გაჩნდა. კანონპროექტის წარდგენა კი მთავრობამ საზოგადოებასთან, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებთან, ფართო და ინკლუზიური დისკუსიების გარეშე მოახდინა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტმა ინიცირების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა, კერძოდ, მასში მოგვიანებით აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხის ტესტი აისახა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კუთხით იგი კვლავ სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს. წარმოდგენილ ინიციატივას 18 არასამთავრობო ორგანიზაციის, 18 მედია საშუალების და 3 მედია გაერთიანების ერთობლივი განცხადება[1] მოჰყვა, რომელშიც კანონის მიღების რეალური მიზნები ეჭვქვეშ არის დაყენებული.

> **„იმ პირობებში, როდესაც სიძულვილით მოტივირებული კონკრეტული დანაშაულების ჩადენის დროს, სახელმწიფოს პოლიტიკა უმცირესობების მიმართ დემონსტრაციულად არაეფექტური, ზოგიერთ შემთხვევაში კი რეპრესიულია, სახელმწიფო ავლენს აბსოლუტურ პასიურობას დარღვეული უფლებების აღდგენისა და პრევენციის კუთხით, ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესების მიზანი დისკრიმინირებული ჯგუფების დაცვაა, ძალიან დაბალია“,** – აღნიშნულია არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე ყურადღება არის გამახვილებული კანონში გამოყენებული გარკვეული ტერმინების („ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდება“, კონკრეტული ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის „განხეთქილების ჩამოგდება“) ფართო ინტერპრეტაციისა და მისი თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობაზე. მითითება ხდება იმაზე, რომ წარმოდგენილი ნორმა განსხვავდება რასიზმსა და ქსენოფობიასთან ბრძოლის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებისგან, რომლითაც დისკრიმინაციული და ძალადობრივი მოპყრობისგან დაცვის ობიექტად უშუალოდ მოწყვლადი ჯგუფებია განხილული, განსხვავებით წარმოდგენილი მოდელისგან, სადაც განხეთქილების ჩამოგდების ბუნდოვანი მოწესრიგებაა შემოთავაზებული. შესაბამისი ორგანოების მხრიდან ნორმის ბოროტად გამოყენება და მისი არასწორი ინტერპრეტირება, განცხადების ავტორთა აზრით, მედიის წარმომადგენელთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა, რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფთა და პოლიტიკურ ოპონენტთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს ქმნის.

დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისა და ღია საზოგადოების ჩამოყალიბების მხრივ არაპროპორციულად შეფასდა ასევე კანონით გათვალისწინებული ისეთი საქნცია[2], რომელიც მედია საშუალებების და სხვა იურიდიული პირების ლიკვიდაციას ითვალისწინებს.

---

[1] არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, 26 იანვარი, 2015. http://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/167

[2] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 239[1]. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე.
2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით“.

გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი საკანონმდებლო რეგულაციების მიღების მცდელობას 2013 წელსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი წარუდგინა, რომელიც სამართალდარღვევად აცხადებდა რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვას ან/და სხვაგვარ დამამცირებელ ქმედებას, რაც მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას და ამ ნიადაგზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებდა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს კრიტიკული შეფასებების[3] შემდეგ, აღნიშნული ინიციატივის უკან გახმობა მოხდა. განმეორებით მცდელობას კი 2016 წლის 2 თებერვალს ჰქონდა ადგილი, როდესაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“ ადმინისტრაციული წესით დასჯადი ხდება.

რეკლამის ახალი რეგულაციები

2014 წლის ბოლოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პარლამენტში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში რეკლამის/სპონსორობის შესახებ ცვლილებების პაკეტის ინიცირება მოახდინა, ხოლო პარლამენტმა წარდგენილი ცვლილებები რეგისტრაციიდან (18 დეკემბერი) 2 თვეში, 2015 წლის 19 თებერვალს მიიღო. ცვლილებების განხორციელების საფუძვლად მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მომსახურების (AVMS) დირექტივასთან (2010/13/EU)[4] შესაბამისობაში მოყვანა დასახელდა. კომუნიკაციების კომისიის განმარტებით ბარათსა და 2014 წლის წლიურ ანგარიშში[5] კანონის მიღების მიზნად საქართველოში სამაუწყებლო ბაზრის მოწესრიგება და აღნიშნული ბაზრის მოთამაშეებისთვის თანაბარი პირობების შექმნაა მითითებული.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად და ბაზარზე ზემოქმედების მცდელობად შეაფასა აღნიშნული ტელეკომპანიის მენეჯმენტმა, შემდეგ გარემოებათა გამო:

- **დაჩქარებული ვადები:** ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XXXIII დანართით გათვალისწინებული თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში საქართველოს ეტაპობრივად უნდა განეხორციელებინა. კერძოდ, დირექტივის 23-ე მუხლი ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წელიწადში, ხოლო სხვა მუხლები – სამი წლის ვადაში უნდა ამოქმედებულიყო. ასოცირების ხელშეკრულება ძალაში სრულად 2015 წლის 24 დეკემბერს შევიდა,

[3] http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=506
[4] http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2010:095:0001:0024:en:PDF
[5] საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის ანგარიში. გვ.19. http://www.gncc.ge/uploads/other/1/1344.pdf

შესაბამისად ახალი რეგულაციების ნაწილი – 2018, ნაწილი კი – 2020 წელს უნდა ამოქმედებულიყო.

- **გამკაცრებული რეგულაციები:** „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67(3)-ე მუხლში შესული ცვლილებები გაცილებით მკაცრ რეგულირებას ითვალისწინებს, ვიდრე ეს 2010/13/EU დირექტივით არის დადგენილი. კერძოდ, 67-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, რომელიც 2016 წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა, „სპონსორობისას დაუშვებელია საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირი მოწოდება ამ საქონელზე ან/და მომსახურებაზე სპეციალური მითითებით.“ დირექტივის მე-10 მუხლის ბ პუნქტის მიხედვით კი, დასპონსორებული აუდიოვიზუალური მედია სერვისები (მომსახურება) ან პროგრამები შემდეგ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: (ბ) პირდაპირ მოწოდებით არ უნდა ახალისებდეს პროდუქციის ან მომსახურების შესყიდვას ან ქირავნობას. დირექტივა დათქმას აკეთებს მხოლოდ გადაცემაზე, ხოლო ქართულ ვერსიაში ეს შეზღუდვა გაფართოვებულია, რადგან ტერმინი „სპონსორობისას“ მოიცავს როგორც სპონსორის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე მითითებას, ასევე დასპონსორებულ გადაცემას, სასპონსორო ანონსს, სასპონსორო ტიხარს და ა.შ.

2 ფინანსური და ბიზნეს გარემო

მედიის ფინანსური და ბიზნეს გარემოს შეფასებისას, 2015 წლის პერსპექტივიდან რამდენიმე საკითხი საჭიროებს ყურადღების გამახვილებას: 1) მაუწყებლობის შესახებ კანონში შესული რეკლამის ახალი რეგულაციების გავლენა ბაზარზე; 2) სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე ახალი გამზომი კომპანიის შემოსვლა; 3) მედია საშუალებებზე საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების პრაქტიკა და 4) საგადასახადო შემოწმება რეგიონულ მედია საშუალებაში.

წინამდებარე თავი სწორედ ამ 4 საკითხს მიმოიხილავს.

1.1. რეკლამის ახალი რეგულაციების გავლენა ბაზარზე

როგორც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ვებ-გვერდზე 1 მარტის მდგომარეობით განთავსებული მონაცემები აჩვენებს, სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი 2014 წელთან შედარებით 2015 წელს 10,3 მლნ-ით შემცირდა. 2014 წელს სატელევიზიო მაუწყებლობიდან შემოსავალმა 94,6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი 84,3 მლნ ლარი იყო.

ტელეკომპანიების მიხედვით ორი წლის მონაცემების შედარებამ აჩვენა (დიაგრამა 2.1.), რომ მხოლოდ საქართველოს მედია ქსელის[1] შემოსავლები გაიზარდა 3,5 მლნ-ით და ტელეკომპანია „იმედის“ – 2,9 მლნ ლარით. ამასთანავე საქართველოს მედია ქსელის შემოსავლები ძირითადად კონტენტის რეალიზებას უკავშირდებოდა (4,9 მლნ) და რეკლამის ხვედრითი წილი მასში შედარებით მწირი იყო, ხოლო „იმედის“ შემოსავლის ძირითადი წყარო სატელევიზიო რეკლამა იყო (23,7 მლნ), საიდანაც ყველაზე დიდი შემოსავალი მე-4 კვარტალს უკავშირდება. იმ ტელეკომპანიებიდან, რომლებიც 2014 წელს სარეკლამო ბაზარზე ლიდერობდნენ, სხვების შემოსავლები შემცირდა: კერძოდ, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის – 7.3 მლნ-ით, მაესტროსი – 5,3 მლნ-ით, GDS-ის – 788 114 ლარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია GDS-მა მე-4 კვარტლის მონაცემები დაგვიანებით წარადგინა.

[1] საქართველოს მედია ქსელი სილქნეთის შვილობილი კომპანიაა და მისი დამფუძნებლები არიან შპს გლობალ მედია ჯგუფი – GMG (15%) და სს „სილქნეთი“ (85%). სილქნეტმაკომპანია GMG-ის 6 სატელევიზიო არხი პროგრამებისა და გადაცემების უფლებით შეიძინა.

დიაგრამა 2.1. სატელევიზიო მედიის შემოსავლები 5 მაუწყებლის მიხედვით, 2014-2015 წწ.



	2014	2015
რუსთავი 2	45,332,691.82	38,043,088
ტელეიმედი	22,282,790.54	25,148,484
სტუდია მაესტრო	10,400,391.45	5,123,105
საქართველოს მედია ქსელი	2,459,360.23	5,942,532.10
ჯი-დი-ეს თი-ვი	2,676,358.52	1,888,244.98

რაც შეეხება მედია საშუალებებს შორის კომერციული რეკლამის გადანაწილებას, 2014 წლის მსგავსად 2015 წელსაც ბაზარზე ტელეკომპანია რუსთავი 2 ლიდერობდა – 45,1%, რომელსაც 29,8%-ით ტელეკომპანია „იმედი“ მოსდევს, შემდეგ ადგილებზე არიან: საქართველოს მედია ქსელი – 7%, მაესტრო – 6,1%, GDS – 2,2%, ობიექტივი – 1,3%, ტაბულა – 1,3%, კავკასია – 0,6%, სხვა ტელევიზიები – 6,6%.

დიაგრამა 2.2. 2014 და 2015 წლის სატელევიზიო შემოსავლები მედიების მიხედვით.

2014



2015



როგორც 2 წლის მონაცემების შედარებიდან ჩანს, 2015 წელს სარეკლამო შემოსავლები ტელეკომპანია „იმედის“ სასარგებლოდ გაუმჯობესდა, ხოლო კონტენტის რეალიზებიდან შემოსავლები – საქართველოს მედია ქსელის სასარგებლოდ.

1.2. სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე ახალი გამზომი კომპანიის შემოსვლა

2016 წლიდან სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე სატელევიზიო აუდიტორიის გამზომი ახალი კომპანია შპს „ტრიმედია ინტელიჯენსი“ შემოვიდა, რომელიც საერთაშორისო კომპანია Kantar Media-ს ოფიციალური ლიცენზიატია. 2005 წლიდან დღემდე ბაზარზე სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვებს ერთადერთი კომპანია „თი-ვი-ემ-არ საქართველო“ ახორციელებდა, რომელიც, თავის მხრივ, საერთაშორისო კომპანია Nielsen-ის ოფიციალური ლიცენზიანტია. „თი-ვიემ-არ საქართველოს“ სახელი 2014 წლის თებერვალში ორგანიზაციაში შემოსავლების სამსახურის შესვლას უკავშირდება, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა მოჰყვა, რადგან ეს ქმედება სარეკლამო ბაზრის გადანაწილების მცდელობად შეფასდა.

სატელევიზიო აუდიტორიის გამზომი კომპანიების დამკვეთები როგორც ტელევიზიები, ასევე სარეკლამო სააგენტოები და მედიასელერები არიან. ტელევიზიებს რეიტინგების გაზომვა პროგრამირებისთვის და რეკლამის მოსაზიდად სჭირდებათ, ხოლო სარეკლამო სააგენტოები და მედიასელერები რეკლამის განთავსებას სატელევიზიო რეიტინგების მიხედვით ახდენენ.

13 სატელევიზიო არხიდან, რომელიც „თი-ვი-ემ-არ საქართველოს“ კლიენტი იყო, დღეს ძველი მთვლელის მომსახურებით 7 სატელევიზიო არხი სარგებლობს. ესენია: რუსთავი 2, კავკასია, ტაბულა, კომედი არხი, მარაო, ტვ პირველი, მუზიკ ბოქსი. „თი-ვი-ემ-არ“-ის კლიენტია ასევე 1 მედია სელერი და 16 სარეკლამო სააგენტო. სარეკლამო სააგენტოების რიცხვი მხოლოდ 2-ით შემცირდა.

რაც შეეხება ახალ კომპანია „ტრიმედია ინტელიჯენსს“, მათი კლიენტების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, რადგან ვებ-გვერდი, რომელზეც მიგვითითეს, ჯერ არ ფუქნციონირებს. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ახალმა

კომპანიამ გაიმარჯვა და ტენდერის პირობებიც წინა წლებისგან განსხვავებული იყო. ასევე მედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან ცნობილი ხდება, რომ 2016 წლიდან ტელეკომპანიები „იმედი“, GDS და მაესტრო „ტრიმედიას“ მომსახურებით სარგებლობენ.

„ტრიმედია ინტელიჯენსი“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2014 წლის 13 ოქტომბერს დარეგისტრირდა და ბაზარზე საერთაშორისო კომპანია “Kantar Media”-ს ლიცენზიით შემოსვლის შესახებ განაცხადი ოქტომბერშივე გააკეთა. კომპანიის 50-50% წილის მესაკუთრეები მერაბ ფაჩულია და გიორგი თევდორაშვილი არიან. თავის მხრივ, მერაბ ფაჩულია საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრის GORBI-ის 70%-იანი წილის მფლობელია.

„ტრი მედიას“ მიმართ გარკვეულ მედია საშუალებებს შეკითხვები ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით აქვთ და აღნიშნულ კომპანიას ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირებენ[2]. პრეტენზიები გამოითქმის ასევე ერთ-ერთი დამფუძნებლის – გიორგი თევდორაშვილის ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, რომელიც „პალიტრა ჰოლდინგში“ შემავალ კომპანიებში (IPN – 12%, ელვა.ge – 25%, ბიბლიუსი – 10%) წილებს ფლობს. „პალიტრა ჰოლდინგში“ შედის ტელეკომპანია PALITRANEWS (შპს პალიტრა TV), რაც ინტერესთა კონფლიქტს განაპირობებს. გიორგი თევდორაშვილი ინტერესთა კონფლიქტს იმ მოტივით უარყოფს, რომ ის უშუალოდ ტელევიზიაში წილებს არ ფლობს.

ნილსენის სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების ოფიციალური ლიცენზირებული პარტნიორი კომპანია „თი-ვიემ-არ საქართველო“ 2004 წელს დაფუძნდა და სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვებს 2005 წლიდან ახორციელებს. შპს „თი-ვიემ-არ საქართველოს“ დირექტორი, ნინო გოგოლაძეა, 100 პროცენტიანი წილის მფლობელი კი დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული „კომანდიტური საზოგადოება თი-ვიემ-არ“-ია. შპს თი-ვიემ-არ საქართველო და გოჩა ცქიტიშვილი კი 50-50% წილს ფლობენ შპს აი-ფი-ემ მონიტორინგი-ში. ამ კომპანიის დირექტორიც ნინო გოგოლაძეა. გოჩა ცქიტიშვილი კი ასევე ფლობს წილს შპს „მედია მონიტორინგში“ (100%).

2014 წლის თებერვალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა „თი-ვიემ-არ საქართველოში“ შემოწმება დაიწყო და კომპანიისგან იმ 330 ოჯახის სახელებისა და მისამართების სია მოითხოვა, სადაც სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების მოწყობილობა ეყენა. „თი-ვიემ-არ საქართველომ“ უარი განაცხადა აღნიშნული ინფორმაციის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ საქმე კონფიდენციალურ მონაცემებს ეხებოდა და მისი გამჟღავნება კომპანიის სანდოობასა და რეიტინგს ზიანს მიაყენებდა. შემოსავლების სამსახურმა ამის შემდეგ „თი-ვიემ-არ საქართველოს“ აქტივების აუდიტი დაიწყო. 20 მარტს „თი-ვიემ-არ საქართველომ“ მუშაობა შეწყვიტა, იმ მოსაზრე-

[2] 2016 წლიდან სატელევიზიო რეიტინგების ბაზარზე ახალი კომპანია შემოდის, 7 დეკემბერი, 2015, მედიის განვითარების ფონდი. http://mdfgeorgia.ge/geo/view_news/411

ბით, რომ აუდიტი ხელს უშლიდა მის ფუნქციონირებას. შემოსავლების სამსახურის ქმედებას ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკა მოჰყვა. 18 მარტს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ კონფიდენციალური მონაცემების გარეშე პირთა მიერ ფლობას შესაძლოა რეიტინგის შედეგებზე პოტენციური ზეგავლენისა და მანიპულირების საფრთხე შეექმნა, რაც შეიძლება კვლევაში მონაწილე ოჯახების თვითცენზურაშიც გამოხატულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება ხუთმა ტელევიზიამ და ათზე მეტმა სარეკლამო სააგენტომაც გაავრცელეს, რომელშიც ყურადღება ქვეყნის სატელევიზიო სარეკლამო ბაზრისათვის ზიანის მიყენების საფრთხეზე იყო გამახვილებული. 24 თებერვლიდან და 3 აპრილამდე შემოსავლების სამსახურმა სასამართლოს „თი-ვიემ-არ საქართველოსგან" კონფიდენციალური მონაცემების მიღების შუამდგომლობით სამჯერ მიმართა, მაგრამ სასამართლომ შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა. აღნიშნული ფაქტი ადამიანის უფლებების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის ანგარიშშიც მოხვდა.

1.3. მედია საშუალებებზე საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების პრაქტიკა

მთავრობას, ან მის ცალკეულ ინსტიტუციონალურ ერთეულს, არ აქვს შემუშავებული წესი, თუ რა კრიტერიუმით ხდება მედიებზე საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება. მხოლოდ ცალკეული სამინისტროები უთითებენ კონტრაქტებში სატელევიზიო რეიტინგებს და აუდიტორიის მოცვის ვალდებულებას.

2015 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა მედიაში სარეკლამო და საინფორმაციო მომსახურებისთვის საქართველოს მასშტაბით 7 173 955 ლარი გადარიცხეს. ეს მონაცემი მოიცავს მთავრობის კანცელარიის, ცალკეული სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (სსიპ) და სხვა დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულმა სსიპ-ებმა და სააქციო საზოგადოებებმა ინფორმაციის გაცემაზე უარი თქვეს, წარმოდგენილი მაჩვენებელი არასრულია.

აღნიშნული თანხის 79,8 % სატელევიზიო რეკლამაზე მოდის, 12,2% – ონლაინ მედიაზე, 6,3% – გაზეთებზე, 0,8% – რადიოზე, 0,9% – შერეულ კონტრაქტებზე, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებებს მოიცავს.

სატელევიზიო რეკლამის ყველაზე დიდი წილი რუსთავი 2-ზე მოდის – 2,1 მლნ, შემდეგ ადგილზეა იმედი – 1, 02 მლნ, GDS – 398 932.19, მაესტრო – 332 736.9, ქვემო ქართლის ტელევიზია – 273 000, რიონი – 86 018.2, კავკასია – 70 669.5, ობიექტივი (ეტალონი) – 68 616.01, გადაცემა ეტალონი – 56 367.99, დანარჩენი ტელევიზიები – 34 874, სარეკლამო კომპანიების მიერ ერთობლივად რამდენიმე ტელევიზიაში განთავსებული რეკლამა – 1 318 089,31. აღსანიშნავია, რომ გარკვეული საბიუჯეტო კონტრაქტები არ იძლეოდა იმის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, თუ რომელ მედია საშაულაბაზე (რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, კავკასია, ასევე 17 რეგიონული ტელევიზია) რა თანხა გადანაწილ-

და, ხოლო 1 შემთხვევაში გაფორმებული კონტრაქტით[3] თავად ტელევიზიების იდენტიფიცირება იყო შეუძლებელი.

დიაგრამა 2.3. საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება ტელევიზიებაში, 2015 წ.



რადიო საშუალებებზე კი სარეკლამო თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

რადიო	თანხა
ძველი ქალაქი	19350
საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	17100
რადიო ფორტუნა	12834
რადიო იმედი	7143
რადიო მაესტრო	2988
პირველი რადიო	1596

ონლაინ მედიაში ლიდერობს პალიტრა მედია ჰოლდინგი (IPN, PalitraTV.ge, Kvirispalitra.ge, bpn.ge. Ambebi.ge, gemrieli.ge) – 290 259, რომელსაც მოსდევს PiA და მასთან დაკავშირებული გამოცემები Daijesti.ge, rubrica.ge, funtime.ge – 156 339, info 9 – 66286, IPM (საინფორმაციო სააგენტოებში ინ-ფორმაციის განთავსება) – 52400, accent.com.ge – 45520, GHN – 32578, ექსპრესნიუსი (EPN) – 28382,

[3] სსიპ საკანონმდებლო მაცნე და თბს ტვ მედია, 3 დეკემბერი, 2015.

etanews.ge – 27 905, newspress.ge – 23 371, for.ge – 19 457, netgazeti.ge – 12 890, news.ge – 12408.3 სხვადასხვა – 99 032.

დიაგრამა 2.4. საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება ონლაინ მედიაში, 2015 წ.



ბეჭდვითი მედიიდან ყველაზე დიდი თანხა – 85915.5 – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ მოდის, შემდეგ ადგილზეა „რეზონანსი“ – 74536.92, კვირის პალიტრა – 73513.17, ვერსია – 54716, ჯორჯია თუდეი – 28600, ალია და კვირის ქრონიკა – 21815.6, ენციკლოპედია ქუთაისი – 14994 და სხვები – 82 776.

დიაგრამა 2.5. საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება გაზეთებში, 2015 წ.



აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ცალკეული ერთეულები კვლავ აგრძელებენ ისეთ მედია საშუალებებთან სერვის კონტრაქტების გაფორმებას, რომლებიც სიძულვილის ენას და ანტი-დასავლურ განწყობებს აღვივებენ. ასეთებია:

მედია საშუალება	კონტრაქტის თანხა
საქართველოს რესპუბლიკა	74536.92
ობიექტივი (ეტალონი)	68616.01
ალია და კვირის ქრონიკა	21815.6
newspress.ge[4]	23371
ექსკლუზივნიუსი[5]	4730
ასავალ-დასავალი	2 500

აღსანიშნავია, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალში" საქართველოს მთავრობის სამწლიანი მუშაობის შეჯამების ამსახველი ანგარიშის საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებული სარეკლამო მასალა განთავსდა, რასაც საფუძვლად საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის #2552 განკარგულება დაედო. ექსკლუზივნიუსთან კი კონტრაქტი შსს-ს დაცვის პოლიციამ გააფორმა.

მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში[6], რომელიც 2015 წელს გამოვიდა, ყურადღება არის გამახვილებული ევროსაბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) რეკომენდაციებზე #7, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ურჩევს, შეიმუშავონ ისეთი რეგულაციები, რომლებიც ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას კონტრაქტების გაფორმების წინაპირობად აქცევს და უზრუნველყოფს იმას, რომ სახელმწიფო არ შევა ფინანსურ ურთიერთობაში ისეთ ორგანიზაციებთან, ვინც სიძულვილს აღვივებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია შერჩევით მიდგომას ავლენს გარკვეული მედია საშუალებების მიმართ. მაგალითად, მედია-კავშირ „ობიექტივის" ეთერში გადაცემა „ეტალონის" დასპონსორება მაუწყებლობის შესახებ კანონის დარღვევით მოხდა. კერძოდ, 66 მუხლი კრძალავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაცემების დაფინანსებას. მედიის განვითარების ფონდმა ამ საკითხის შესწავლის მიზნით მარეგულირებელ კომისიას 2015 წლის 31 ივლისს მიმართა. მიმართვიდან 7 თვის თავზე მარეგულირებელს აღნიშნულ საკთხზე რეაგირება არ მოუხდენია. იდენტური შემთხვევის გამო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2015 წლის 26 მარტს საზოგადოებრივ მაუწყებელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა.

1.4. საგადასახადო შემოწმება რეგიონულ მედია საშუალებაში

ადგილობრივმა გამოცემამ „ჩემი ხარაგაული" 2014 წლის 15 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ჩაწერილი ვიდეომასალა[7] გამოაქვეყნა. ოცწუთიან ვიდეოში

[4] „კვირის ქრონიკა": პოლიტიკური მესაჯდომე კალაძე წინასწარ გვაჩვევს აზრს, რომ პედარასტების აღლუმი მაინც ჩატარდება, 4 მაისი, 2015 http://bit.ly/1Tr5P5I

[5] „ვაშაძის ძმა „გათხოვდა"?!, 18 აგვისტო, 2014. http://www.exclusivenews.ge/?page=view&artid=6363

[6] საბიუჯეტო სახსრები სიძულვილის ენისა და და ანტიდასავლური განწყობების გამღვივებელ მედიაში, მედიის განვითარების ფონდი, 2015. http://mdfgeorgia.ge/uploads//Report%20on%20Obiektivi%20&%20others.pdf

[7] გაზეთი „ჩემი ხარაგაული", 6 ოქტომბერი, 2015. http://chemikharagauli.com/?p=8004#.VrhkD7QxGgR

ასახულია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორის ლაურა გოგოლაძის საუბარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი გაზეთს „ჩემი ხარაგული“ ტენდენციურობაში ადანაშაულებენ. „ჩემი ხარაგულის“ გამომცემელ ლაურა გოგოლაძის მოთხოვნაზე, დაასახელონ კონკრეტული სტატიები, რომლებიც, მათი აზრით, ტენდენციურია, გამგებელი 2014 წლის 12 ივნისს გამოქვეყნებულ წერილს, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე 2013 წლის 26 ივნისს გამოქვეყნებულ ინფორმაციებს უთითებს. გამგებელი და ფრაქციის თავმჯდომარე აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავენ გაზეთი სარედაქციო პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე გაზეთის დამფუძნებლები მიუთითებენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სხვადასხვა საბიუჯეტო დაფინანსებით აჯილდოვებს გაზეთ „ახალ ხარაგაულს“, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს.

ამ ინციდენტის შემდეგ გაზეთ „ჩემ ხარაგაულში“ საგადასახადო შემოწმება დაიწყო, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა. გაზეთი „ჩემი ხარაგული“ გარკვეული საგადასახადო ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდა, თუმცა გაზეთის რედაქციამ სანქცია დავების განმხილველ საბჭოში გაასაჩივრა, რომელმაც გარკვეული ჯარიმები გააუქმა, თუმცა არა სრულად. დარჩენილი ჯარიმების გაუქმების მიზნით გაზეთი დავას კვლავ აგრძელებს.

3 მედია საკუთრება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენდა, თუ როგორ აისახებოდა ხელისუფლების ცვლილება მედია გარემოზე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ არჩევნების შემდეგ ტელეკომპანია „იმედი“ და „იბერია“ თავიანთ ყოფილ მესაკუთრეებს დაუბრუნდა, ამასთანავე ბაზრიდან არ გამქრალა არცერთი დამკვიდრებული მედია საშუალება, გარდა მე-9 არხისა, რომელიც იმ დროისათვის მოქმედი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა და მფლობელის სურვილითვე არჩევნების დასრულებიდან 8 თვეში დაიხურა.

თუმცა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად საკუთრებითმა დავებმა იჩინა თავი, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, რომ განვითარებული მოვლენები წინასაარჩევნოდ მედია ბაზრის გადანაწილების მცდელობას უკავშირდება. 2015 წელს საკუთრებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ორ ტელეკომპანიასთან – რუსთავი 2-თან და მაესტროსთან მიმართებაში იჩინა თავი.

3.1. რუსთავი 2-ის საქმე

განსაკუთრებული დაკვირვების საგანს 2015 წელს ტელეკომპანია რუსთავი 2 წარმოადგენდა, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკას ატარებდა, ხოლო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ მედია საშუალებად ჩამოყალიბდა, რისი დეკლარირებაც რუსთავი 2-ის მენეჯმენტმა არაერთხელ თავად მოახდინა.

ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები მუდმივად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას არხის სარედაქციო პოლიტიკის გამო და მას წინა ხელისუფლების და ახლა უკვე ოპოზიციური პარტიის - ნაციონალური მოძრაობის მიმართ მიკერძოებულობაში ადანაშაულებდნენ. ტელეკომპანიის საკუთრების საკითხი კი მუდმივად წარმოადგენდა მათი მხრიდან მითითების საგანს.

რუსთავი 2-ის მიმართ საჯარო კრიტიკის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომლის არაფორმალურ მმართველობაზე არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დამკვირვებელი მიუთითებს. ივანიშვილმა არაერთხელ გამოთქვა იმედი, რომ თამაშის წესები მედია ბაზარზე შეიცვლებოდა. 2015 წელს კი მისი შვილის, ბერა ივანიშვილის საკუთრებაში არსებული სატელევიზიო არხის GDS-ის ეთერში ახალ ანალიტიკური გადაცემა 20/30-ის დაანონსებისას, რომელსაც საწყისს ეტაპზე თავად უძღვებოდა, ივანიშვილმა ტელეპროექტის მიზნად

მოსახლეობისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და რუსთავი 2-ის პროპაგანდის განეიტ-რალება დაასახელა.

ბიძინა ივანიშვილი: **„რუსთავი 2" და ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდისტული სიცრუის მანქანა საუბედუროდ დომინირებს მედია სივრცეში, სხვა მედია საშუალებებიც მას მხარს უბამენ და მოსახლეობას ძალიან უჭირს რეალობის გაგება, ჩემი აზრით, კვირის პროექტს, მათ შორის და „20/30"-ის ყოველდღიურ გადაცემებს, შეუძლია მაქსიმალურად დაბალანსებული ინფორმაცია და სწორი აქცენტები მიაწოდონ მოსახლეობას... მოსახლეობას უნდა ჰქონდეს იმის გაგება, რომ კარგად გაერკვეს მომავალ არჩევნებში, ვის შეიძლება მან მხარი დაუჭი-როს, მედია ანალიზს ამაში აქვს უდიდესი როლი, ეს პროექტიც [გადაცემა „20/30"] სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ მოსახლეობას კვალიფიციური ანალიზი მივაწოდოთ, რომ კარგი არჩევანი გააკეთონ არჩევნების დროს"[1].**

ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ ტელეკომპანია „იმედის" ეთერში გამოთ-ქვა იმედი, რომ რუსთავი 2 მის რეალურ მფლობელს დაუბრუნდებოდა, ხოლო 2014 წლის 11 მაისს მოსახლეობას რუსთავი 2-ის „დასრულების" პირობა მისცა:

კახი კალაძე: **„ძალიან ცუდია, რომ „რუსთავი 2" ისევ აგრძელებს იმ 9 წლიან სამარცხვინო მოღ-ვაწეობას, სიბინძურის პროპაგანდას. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას პირობას ვაძლევთ, რომ ეს აუცილებლად დასრულდება[2]".**

ხელისუფლების მხრიდან რუსთავი 2-ის წინააღმდეგ საჯაროდ გაკეთებული არაერთი განცხადე-ბის ფონზე, მუდმივად არსებობდა ტელეკომპანიის წინააღმდეგ გარკვეული ნაბიჯების გადადგმის მოლოდინი. 2013 წლის ბოლოს რეიტინგების გამზომავი კომპანია TVMR საქართველოში შემოსავ-ლების სამსახურის შესვლა და 2015 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში რეკლამის შესახებ ახალი რეგულაციების დაჩქარებული წესით მიღება რუსთავი 2-ის მენეჯმენტმა ტელეკომპანიის წინააღ-მდეგ მიმართულ ქმედებად და ბაზრის გადანაწილების მცდელობად შეაფასა[3]. სამართლებრივი პროცესის ინიცირება კი, რაც საკუთრებით დავას უკავშირდებოდა, ტელეკომპანიის წინააღმდეგ 2015 წლის აგვისტოში, საპარლამენტო არჩევნებამდე 1 წლით ადრე მოხდა.

რუსთავი 2-ის მესაკუთრეები

2015 წლის 4 აგვისტოს რუსთავი 2-ის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში საკუთრე-ბასთან დაკავშირებული სარჩელის ინიცირება ქიბარ ხალვაშმა და მისმა კომპანია შპს „პანორამამ" მოახდინეს. მოსარჩლეები რუსთავი 2-ის წილების მესაკუთრედ აღიარებას ითხოვდნენ.

ქიბარ ხალვაში ტელეკომპანიას 2004-2006 წლებში ფლობდა. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს ანგარიშის[4] მიხედვით, 2004 წლის 16 ივნისს პაატა კარსანიძემ „რუსთავი 2"-ის 60%

1 Media.ge, 16 მარტი, 2015. http://www.media.ge/ge/portal/news/303517/
2 http://rustavi2.com/ka/news/23857
3 Media.ge, 19 მარტი. http://www.media.ge/ge/portal/news/302383/
4 „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" – „რუსთავი 2"-ის ისტორია, 2 აგვისტომ 2013. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართ-ველო. http://www.transparency.ge/blog/gamarjvebuli-khalkhis-televizia-rustavi-2-istoria

ჯარჯი აქიმიძისგან და დავით დვალისგან (30-30%) შეიძინა და იმავე დღეს ქიბარ ხალვაშს მიჰყიდა. ხალვაშის კომპანია შპს „პანორამამ“ ნიკა ტაბატაძის 10% და ეროსი კიწმარიშვილის 30%-იც შეისყიდა.

იმ პერიოდში ქიბარ ხალვაში თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირი იყო. 2005 წელს ქიბარ ხალვაშის კომპანიისგან რუსთავი 2-ის წილის 22% „საქცემენტმა“ შეიძინა, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი ნაციონალური მოძრაობის წევრის დავით ბეჟუაშვილის და 2004-2008 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის მამა რობერტ ბეჟუაშვილი იყო. 2006 წელს კი მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა ეკონომიკის მინისტრის პოსტი დატოვა, რუსთავი 2-ის 78%-იანი წილი შპს „პანორამასგან“ შპს „ჯეო-ტრანსმა“ შეიძინა.

ქიბარ ხალვაში, რომლის და, ფატი ხალვაში 2012 წლიდან ქართული ოცნების საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციის წევრია, აცხადებს, რომ თავის დროზე მას წილები იძულებით გაასხვისებინეს, რაშიც შეუსაბამო საფასური მიიღო. ამასთანავე, ხალვაში აცხადებს[5], რომ სასამართლოში დავის მოგების შემთხვევაში, ტელეკომპანიის პირველადი მფლობელებიდან ორ თანამესაკუთრეს – ჯარჯი აქიმიძესა და დავით დვალს 50%-იან წილს დაუბრუნებს. აღნიშნული პირებისგან 60%-იანი წილი 2004 წელს ქიბარ ხალვაშმა ფიზიკური პირის – პაატა კარსანიძის მეშვეობით შეიძინა. თავის მხრივ, რუსთავი 2-ის ქონების დაბრუნებაზე პრეტენზიას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალიც აცხადებდნენ[6], რომელთაც მიუხედავად წინასწარი განცხადებებისა, სასამართლოსთვის არ მიუმართავთ.

დიაგრამა 3.1. 2004 წელს ქიბარ ხალვაშის და შპს „პანორამას“ მიერ რუსთავი 2-ის წილების შეძენა



[5] რადიო „თავისუფლება“, 6 ნოემბერი, 2015. http://www.radiotavisupleba.ge/content/droebiti-mmartveloba-rustavi-2-shi/27348837.html

[6] Media.ge, 5 ოქტომბერი, 2012. http://www.media.ge/ge/portal/news/50277/

რუსთავი 2-ის წილებზე პრეტენზიას 2012 წელს გამართულ პრესკონფერენციაზე მისი მესამე დამფუძნებელი და წილის ყოფილი მესაკუთრე ეროსი კიწმარიშვილიც გამოთქვამდა, რომელიც აცხადებდა, რომ რუსთავი 2-ის საკუთრებასთან დაკავშირებული დავა მის გარეშე ვერ ჩაივლიდა:[7]

> ეროსი კიწმარიშვილი: **„მე მინდა, ვუთხრა ივანიშვილს, როცა „რუსთავი 2"-ზე საუბრობს, თვალებში მე შემომხედოს. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამ ვიცით მეც და მან ისეთი, რისი გამომჟღავნებაც ბევრ ადამიანს დააზარალებს. აქვე მოვუწოდებ მას, რომ თუკი როგორც განაცხადა, ქიბარ ხალვაშმა და მან რაიმე ისეთი იციან, რაც მე არ ვიცი, ან ხამამაღლა გამოაცხადოს, ან როგორც იტყვიან სამუდამოდ გაჩუმდეს"**.

2014 წლის 15 ივლისს ეროსი კიწმარიშვილი მისსავე მანქანაში მკვდარი იპოვეს. გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს და ამ დრომდე არ დასრულებულა, თუმცა თვითმკვლელობის ვერსიას არ იზიარებენ და საეჭვო გარემოებებზე მიუთითებენ კიწმარიშვილის ოჯახის წევრები.

1994 წელს რუსთავი 2 ეროსი კიწმარიშვილმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა დააფუძნეს. 2012 წლის ნოემბრიდან რუსთავი 2 ძმებ ყარამანიშვილების მფლობელობაშია. ლევან ყარამანიშვილი წილების 22%-ს ფლობს, გიორგი ყარამანიშვილი კი – 18%-ს. „რუსთავი 2"-ის 51%-ს ტელეკომპანია „საქართველო" ფლობს, რომლის 60% ლევან ყარამანიშვილის, 40% კი გიორგი ყარამანიშვილის საკუთრებაა. დარჩენილი 9% გიორგი გეგეშიძეს ეკუთვნის. ტელეკომპანიის ერთ-ერთი მფლობელი ლევან ყარამანაშვილი მობილურ კომპანია „ბილაინის" წილების მფლობელიცაა.

2004-2012 წლებში რუსთავი 2-ის საკუთრება 20-ჯერ შეიცვალა და ამ პროცესის არაგამჭვირვალობასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არაერთი კრიტიკა გამოითქვა[8].

დავის პროცედურული ისტორია

ქონების დაყადაღება

ქიბარ ხალვაშმა თბილისის საქალაქო სასამართლოს რუსთავი 2-ის წილების მესაკუთრედ მისი და მისი კომპანიის შპს „პანორამას" აღიარებასთან დაკავშირებით 2015 წლის 4 აგვისტოს მიმართა. მიმართვიდან 4 დღეში, 8 აგვისტოს სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა და დააკმაყოფილა. შედეგად, ყადაღა დაედო რუსთავი 2-ის წილებს და საბანკო ანგარიშებს, კომპანიას ასევე აეკრძალა მოძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. უფლებამოსილება შეეზღუდა პარტნიორებსა და დირექტორატს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 8 აგვისტოს განჩინება არასათანადოდ დასაბუთებულად და გაუმართლებლად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა[9].

---

7 25 დეკემბერი, 2012. http://geonews.ge/geo/news/story/34226-erosi-kiwmarishvili

8 „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" – „რუსთავი 2"-ის ისტორია, 2 აგვისტომ 2013. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. http://www.transparency.ge/blog/gamarjvebuli-khalkhis-televizia-rustavi-2-istoria

9 არასამთავრობო ორგანიზაციები რუსთავი 2-ის ქონების დაყადაღებას ეხმაურებიან, 10 აგვისტო, 2015. http://www.transparency.ge/node/5428

კერძოდ, არასამთავრობოთა შეფასებით, განჩინება ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას განაპირობებს; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, მოსამართლეს არ მიუთითებია მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებზე; მოსარჩელისათვის გარკვეული სახის გარანტიის წარდგენის ვალდებულების დაკისრების შესახებ სასამართლოს არ უმსჯელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, მოპასუხისათვის შესაძლო ზიანის მიყენების შემთხვევაში, მისი სათანადო ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე.

ამასთან ერთად, საქმეში მნიშვნელოვანია მედიის თავისუფლების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებათა საჯარო ინტერესები, რომელთა ნაწილობრივ შეზღუდვასაც გარდაუვლად იწვევს უზრუნველყოფის ღონისძიებები. შესაბამისად, სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა ამ ინტერესებისა და მოსარჩელის საკუთრების უფლების ბალანსზე. სასამართლომ გავლენიან მედია საშუალებას სრულფასოვნად ფუნქციონირების ტექნიკური და ფინანსური სირთულეები შეუქმნა, შეუზღუდა უფლებამოსილება მენეჯმენტს, რითიც მნიშვნელოვნად დააზიანა გამოხატვის თავისუფლების ინტერესი, თუმცა არ დაასაბუთა, რა საპირწონე სიკეთის დაცვას ემსახურებოდა ეს გადაწყვეტილება.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება „არაპროპორციულ და გადაჭარბებულ ზომად“ შეაფასა ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში დუნია მიატოვიჩმა, რომლის განცხადებით, განჩინებას შესაძლოა უარყოფითად ემოქმედა რუსთავი 2-ის შესაძლებლობაზე, თავისუფლად განეხორციელებინა თავისი საქმიანობა[10].

რუსთავი 2 - მა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნაში მითითებული იყო, რომ ყადაღა კომპანიის ფულადი სახსრების ლიკვიდურობას პრობლემას შეუქმნიდა, კერძოდ, კომპანია მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, ახალი საეთერო გადაცემებისათვის მომზადებულიყო. საჩივრის ავტორების პოზიციით, სასამართლოს რეალურად არ გაურკვევია, არსებობდა თუ არა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი ქონების გასხვისების ან მისი ღირებულების შემცირების რეალური საფრთხეები. ამასთან, დარღვეული იყო თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, სადაო ქონების ღირებულება, რომელზეც გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება, 40-ჯერ მეტს შეადგენდა, ვიდრე ის სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველი გამხდარიყო. 2015 წლის 14 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არც ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

2015 წლის 1 ოქტომბერს ქიბარ ხალვაშის მოთხოვნით, სასამართლომ შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ 100%-იანი წილიც დააყადაღა, რასაც საფუძვლად „ტელეკომპანია საქართველოს“ წილების გასხვისების მცდელობა დაედო. საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების თანახმად, „ტელეკომპანია „საქართველოს“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელები ძმები ყარამანიშვილები არიან, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ცოლის ძმა, დიმიტრი ჩიქოვანი 400 000 დოლარად ყიდულობდა, რომელსაც „რუსთავი 2“-ში 6 მილიონი ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა.

[10] სივილ.ჯი, 11 აგვისტო, 2015.http://www.civil.ge/geo/article.php?id=29608

მოსამართლის აცილება და კოლეგიის მიერ საქმის განხილვის მოთხოვნა

რუსთავი 2-მა მოსამართლე თამაზ ურთმელიძის აცილების შესახებ შუამდგომლობა ორჯერ დააყენა, ასევე მოითხოვა საქმის მოსამართლეთა 3 წევრიანი კოლეგიის მიერ განხილვა. მხარის არცერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილებულა.

მოსამართლის აცილების მოთხოვნა 2 არგუმენტს ეფუძნებოდა: 1) თამაზ ურთმელიძის დედის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს და 2) მოსამართლის მეუღლის მიერ Facebook–ის გვერდზე „რუსთავი 2"-ის და მისი გენერალური დირექტორის მიმათ გამოქვეყნებულ კრიტიკულ შეფასებებს.

2015 წლის 12 ოქტომბერს პროკურატურამ სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენა მოსამართლე ურთმელიძის დედას ოჯახურ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც 2014 წლის 7 იანვარს მოხდა და რომლის დროსაც მისმა სიძემ სხეულის მცირე დაზიანებები მიიღო. ინციდენტიდან 1 წლის და 9 თვის შემდეგ მსუბუქ დაზიანებაზე სამართლებრივი დევნის დაწყებამ წარმოშვა ვარაუდები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება მოსამართლეზე ზეწოლას დედის წინააღმდეგ აღძრული საქმის მეშვეობით ცდილობდა.

2015 წლის 14 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არც საქმის კოლეგიურად განხილვის თაობაზე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. რუსთავი 2-ის მტკიცებით, დავა პოლიტიზებული იყო, რასაც სახელისუფლებო გუნდის მაღალი თანამდებობის პირების მიერ ღიად გამოხატული უკმაყოფილება და კომპანიაზე ზეწოლის მცდელობა მოწმობდა. ამასთან, საქმე ხასიათდებოდა, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი სირთულით, რაც დავის კოლეგიური წესით განხილვის საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს კანონმდებლობით ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ: (1) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის; (ბ) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

შუამდგომლობის ავტორების მოსაზრებით, არასწორ გადაწყვეტილებას შეეძლო პრობლემები შეექმნა არხის გამართული მუშაობისათვის, ასევე გავლენა მოეხდინა ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების ხარისხზე. მოსამართლე ურთმელიძემ უარის დასაბუთებისას განმარტა, რომ მართალია მოპასუხე მხარე მედია საშუალება იყო, მაგრამ დავის საგანს წარმოადგენდა ინტელექტუალური და ქონებრივი სიკეთეების საკუთრების კანონიერება, რაც საკითხის ვიწროდ განმარტებაა, რადგან მედია მფლობელობის საკითხი პირდაპირ უკავშირდება მედიუმის სარედაქციო პოლიტიკას. განჩინება მოსამართლემ საკითხის გონივრულ ვადებში განხილვის მოტივით არ დააკმაყოფილა, რაც მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საკითხის შემთხვევაში არარელევანტური არგუმენტია. სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოში რუსთავი 2-ის საქმის განხილვის უჩვეულოდ სწრაფმა ტემპმა (3 თვე) გააჩინა დამატებითი კითხვის ნიშნები პროცესთან მიმართებაში. ამასთანავე კოლეგიალური ორგანოს მიერ საქმის განხილვა მოსამართლეთა შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას უზრუნველყოფდა და გადაწყვეტილებისადმი სანდოობას გაზრდიდა.

საკონსტიტუციო სარჩელი

26 ოქტომბერს რუსთავი 2-მა სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. აღნიშნული კონსტიტუციური დავის ფარგლებში, მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს სამოქალა-

ქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქციოს გადაწყვეტილება „ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება“. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ამ მუხლის საფუძველზე შეიძლება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების ვადის გასვლამდე ამოქმედდეს ის სამართლებრივი შედეგები, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგა.

სამაუწყებლო კომპანიის იურისტები გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ნორმის ხარვეზებზე მიუთითებდნენ და იმ მუხლების გაუქმებას ითხოვდნენ, რომელთაც სასამართლო სავარაუდოდ საკუთრებითი დავის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოიყენებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო და 2 ნოემბერს, დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმის ამოქმედება გადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩერა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმას შესაძლოა გამოეწვია კონსტიტუციური სარჩელის ავტორთა უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი გამხდარიყო.

სასამართლოს მიერ დროებითი მმართველის დანიშვნა

3 ნოემბერს, სარჩელის ინიცირებიდან 3 თვეში, მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ქიბარ ხალვაშის სარჩელი დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ ტელეკომპანიის 60% ქიბარ ხალვაშს, 40% კი შპს პანორამას მიაკუთვნა, რომელიც ასევე ქიბარ ხალვაშის საკუთრებაა. ამასთანავე მოსამართლემ ბათილად ცნო ხალვაშის მიერ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, რის შემდეგაც ხალვაშმა რუსთავი 2-ში წილი დათმო.

რამდენადაც დაუყოვნებლივ აღსრულების ნორმები საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა, მოპასუხე მხარე და რუსთავი 2 საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის გაგრძელებას გეგმავდა იმ დაშვებით, რომ მოსარჩელე ქონების ფაქტობრივად ფლობას ვერ შეუდგებოდა, თუმცა 5 ნოემბერს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავის 2“-ს დროებითი მმართველი დაენიშნა, ხოლო მენეჯმენტის მოქმედ წევრებს უფლებამოსილება შეუჩერდათ. ამასთან, „რუსთავი 2“-ის დროებით მმართველად დაინიშნენ კონკურენტი ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი ხელმძღვანელი რევაზ საყევარიშვილი და „რუსთავი 2“-ის წილის ერთ-ერთი ყოფილი მესაკუთრე დავით დვალი.

დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმების შეჩერების მიუხედავად, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლს, რითაც ფაქტობრივად წინააღმდეგობაში მივიდა იმ მიზანთან, რა მიზნითაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაუყოვნებლივ აღსრულების მუხლი შეაჩერა.

აღნიშნული განჩინება 2 მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო იყო პრობლემური: 1) სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა; 2) დროებითი მმართველების ინტერესთა კონფლიქტი.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია შემდეგი:

> **„საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციის გაშუქებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის მეთოდი. მოპასუხის (შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის პარტნიორები) მმართველობის პირობებში ეს საკითხიც დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. მითითებული მიზნების უგულვებელყოფა კი, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის ძირითად დანიშნულებას".**

აღნიშნული მსჯელობით სასამართლო გასცდა ქონებრივი დავის ფარგლებს და ჩაერია მედია საშუალების სარედაქციო პოლიტიკაში. სასამართლომ იმსჯელა ობიექტურობისა და სამართლიანობის სტანდარტებზე, რაც არა თუ არ წარმოადგენდა აღნიშნული დავის საგანს, არამედ ზოგადად არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით სასამართლოს მიერ განსჯად საკითხს.

ამასთანავე, სასამართლომ დროებით მმართველებს საკადრო პოლიტიკის წარმართვის, მათ შორის შიდასტრუქტურული რეორგანიზაციის და სამაუწყებლო ბადის განსაზღვრის უფლებამოსილება მიანიჭა. ეს უკანასკნელი კი სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ „ობიექტურობის ტესტთან" ერთად დროებით მმართველებს არხის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის შესაძლებლობას აძლევდა, ტელეკომპანიის მოქმედი სარედაქციო გუნდის ან მისი ცალკეული წევრების გათავისუფლების გზით.

გარდა იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტული დავისათვის რელევანტური ნორმების ფარგლებში დროებითი მმართველის ინსტიტუტს საერთოდ არ იცნობს, სასამართლომ თავად დააყენა ეჭვქვეშ ის კრიტერიუმები, რა კრიტერიუმებითაც დროებითი მმართველები დანიშნა. სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ „დროებითი მმართველი არის მხარეებისაგან ნეიტრალური, დამოუკიდებელი პირი, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული დავაში, მას არ გააჩნია დავის საგანთან მიმართებით არანაირი პირადი ქონებრივი ინტერესი და მისი უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება არის დავის მიმდინარეობის პერიოდში ქონების დაცვა და მისი შენარჩუნება".

მოსამართლემ 5 ნოემბრის განჩინებით „რუსთავი 2"-ის დროებით მმართველად ტელეკომპანია „იმედის" ყოფილი დირექტორი რევაზ საყევარიშვილი და „რუსთავი 2"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წილის ყოფილი მფლობელი დავით დვალი დანიშნა. როგორც შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე დადასტურდა, ქიბარ ხალვაშსა და დავით დვალს შორის დავის დასაწყისშივე არსებობდა შეთანხმება ხალვაშის მიერ პროცესის მოგების შემთხვევაში, „რუსთავი 2"-ის წილების განაწილების შესახებ. შესაბამისად, დროებითი მმართველები სასამართლოს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან აშკარა შეუსაბამობაში არიან.

ადგილობრივი და საერთაშორისო რეაქცია

დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება რუსთავი 2-ისთვის ცნობილი საჯარო რეესტრის ვებ-გვერდიდან გახდა, სადაც იგი 5 ნოემბერს 17:45 სთზე აისახა. არსებობდა გადაწყ-

ვეტილების არასამუშაო საათებში აღსრულების ალბათობა, რის გამოც რუსთავი 2-ის შენობასთან სადღეღამისო საპროტესტო აქციები დაიწყო. საზოგადოების ნაწილი აცხადებდა, რომ შეეწინააღმ-დეგებოდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა[11] აღნიშნული გადაწყვეტილება რუსთავი 2-ის სამართლიანი სა-სამართლოს უფლების შელახვად და არხის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევად შეაფასეს.

6 ნოემბერს გავრცელდა ამერიკისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატიური მისიების[12] ერთობლივი განცხადება, რომელშიც შეშფოთება იყო გამოხატული თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ცალკე წერილობითი განცხადება გაავრცელა ამერი-კის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმაც, რომელშიც ღამის საათებში რუსთავი 2-ის მენეჯ-მენტის დათხოვნისა და დროებითი მმართველების დანიშვნის პოლიტიკურ შედეგებზე იყო ყურად-ღება გამახვილებული. ერთი თვით ადრე, 7 ოქტომბერს[13], საქართველოში მედია პლურალიზმთან დაკავშირებით შექმნილ გამოწვევებზე და რუსთავი 2-ის საქმეზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა მარკ ტონერმაც ისაუბრა, რომელიც ამ თემას 23 ოქ-ტომბერსაც[14] შეეხო.

აპელაცია

12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას 5 ნოემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე უფლებამოსილება აღუდ-გინა.

ამასთან ერთად რუსთავი 2-მა კვლავ შეიტანა სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში და იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, რომელთაც მოსამართლე ურთმელიძის განჩი-ნება დაეყრდნო.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღი და სადავო ნორმები გადაწყვეტილების მიღებამდე ნაწილობრივ შეაჩერა.

30 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 5 ნოემბრის განჩინება, რომელიც რუსთავი 2-ში დროებითი მმართველების დანიშვნას ეხებოდა, სრულიად გააუქმა. გარ-და ამისა, გაუქმდა გადაწყვეტილება, რომლითაც კომპანიას სტუდიის ფუნქციონირებისთვის საჭირო ქონების გაქირავება ეზღუდებოდა.

საკუთრებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება რუსთავი 2-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

---

11 http://mdfgeorgia.ge/geo/view_statements/235
12 http://www.civil.ge/eng/article.php?id=28754
13 http://www.tabula.ge/ge/story/100212-ashsh-xelisuflebis-qmedebebi-ashkarad-shemashfotebelia-da-seriozulad-vekidebit
14 http://www.tabula.ge/ge/story/100862-sax-dep-r2-is-daxurva-an-potenciuri-daxurva-mediasivrces-sheavitsrovebs

3.2. მაესტროს საქმე

ყოფილი პრემიერ-მინისტრის კრიტიკა არა მხოლოდ რუსთავი 2-ს, არამედ სხვა სატელევიზიო არხებზე რუსთავი 2-ის საინფორმაციო პოლიტიკის გავლენასაც შეეხებოდა, რაზეც ივანიშვილმა 2014 წლს კვირის პალიტრასთან ინტერვიუში ისაუბრა:

ბიძინა ივანიშვილი: **„ჩემთვის დღეს უფრო მძიმეა სხვა ტელევიზიები – გინდაც „პირველი არხი“, „მაესტრო“ თუ „იმედი“, რადგან ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, პრაქტიკულად იმეორებენ და აჟიტირებას უკეთებენ იმ თემებს, რასაც წამოსწევს „რუსთავი 2“... სამი ტელევიზია დავასახელე და საუბედუროდ, არ ჩანს, რომ მათ ჰქონდეთ დამოუკიდებელი ხელწერა, ჩაატარონ სერიოზული კვლევა, ანალიზი და არ იმეორონ ის, რაც „აიწევა“ „რუსთავი 2“-დან[15].**

პრეტენზიები მაესტროს სარედაქციო პოლიტიკის რუსთავი 2-თან მსგავსებასთან დაკავშირებით „მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გიორგი გაჩეჩილაძემაც გამოთქვა, როდესაც ის არხის სხვა თანამფლობელებთან და მოქმედ მენეჯმენტთან საკუთრებასთან დაკავშირებით დავის არგუმენტირებას ახდენდა:

გიორგი გაჩეჩილაძე: **„მე აბსოლუტურად სხვანაირი წარმომიდგენია „მაესტროს“ ეთერი, ხოლო ამ დროს, ის არის „რუსთავი 2“-ის და „იმედის“ „გადამღერება[16]“.**

საკუთრებითი დავის ფონზე მაესტროს ახლადდანიშნულმა გენერალურმა დირექტორმა ლევან გაჩეჩილაძემ, რომელიც გიორგი გაჩეჩილაძის ძმა და 2008 წელს პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, „მაესტროს“ მთავარ მიზნად რუსთავი 2-იდან მაყურებლის მოზიდვა დაასახელა:

ლევან გაჩეჩილაძე: **„მთავარი ლოზუნგია გადმოვრთოთ ადამიანები რუსთავი 2-დან. „რუსთავი2“-ის რეიტინგს მინდა ვაჯობო“.**[17]

„მაესტროს“ სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის ცალკეულ შემთხვევებზე განცხადებები მედიის წარმომადგენელთა მხრიდან სხვადასხვა დროს გაკეთდა:

2014 წლის 20 მაისს საქართველოს მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ტელეკომპანია „მაესტროს“ 18 მაისის „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ ტენდენციურად შეაფასა:

„გადაცემის მსვლელობისას, ჟურნალისტი ცდილობდა, შეექმნა სურათი, თითქოს ხელისუფლებამ არც ერთი დაპირება არ შეასრულა. ამ სიცრუის გამყარებისთვის მან ქუჩაში ხალხის გა-

---

15 კვირის პალიტრა, 15 სექტემბერი, 2014. http://bit.ly/1SPOCV6

16 ინტერპრესნიუსი, 22 სექტემბერი, 2015. http://bit.ly/1ogOEYx

17 ინტერპრესნიუსი, 4 თებერვალი, 2015 http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/364869-levan-gachechiladze-chemi-mthavari-lozungia-gadmovrthoth-adamianebi-qrusthavi2q-dan.html

მოკითხვის ხერხსაც მიმართა და ისეთი პასუხები შეარჩია, რომელიც გადაცემის მთავარ ხაზს გააძლიერებდა“, – აღნიშნულია მთავრობის განცხადებაში[18].

2014 წლის 28 სექტემბერს ვახო სანაიამ „მაესტრო“ დატოვა, რის მიზეზადაც წერილობით განცხადებაში[19] არხის მენეჯმენტთან მისი საუბარი დაასახელა, რომლის მიხედვითაც სანაიას გადაცემებს შესაძლოა „მაესტროსთვის“ ხელისუფლებასთან პრობლემები შეექმნა. თავად არხის დირექტორმა ბაია გადაბაძემ კი სანაიას მიერ ტელევიზიის დატოვების მიზეზად უთანხმოება დაასახელა.

2014 წლის 22 დეკემბერს „მაესტრო“ „ცხრიანის წამყვანმა“ და არხის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნინო ჟიჟილაშვილმა, ასევე საინფორმაციო სამსახურის სხვა თანამშრომლებმა დატოვეს. ჟიჟილაშვილის განცხადებით[20], წამოსვლის მიზეზი არხის ერთ-ერთ მფლობელის მეუღლესთან კოტე გოგელიასთან სარედაქციო საკითხებზე შეუთავსებლობა აღმოჩნდა. კერძოდ, საქმე შეეხებოდა გოგელიას ხედვას, რომ მაესტრო იდეოლოგიზირებული და „პროქართული“ უნდა ყოფილიყო, ასევე კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის იმჟამინდელი თანამშრომლის კოკა ყანდიაშვილის ჩარევას სარედაქციო საკითხებში და არხის ეთერში მისი გადაცემის სამომავლოდ გამოჩენას. მაესტროს მენეჯმენტმა აღნიშნული ბრალდებები უარყო და არხზე რეორგანიზაცია გამოაცხადა. მაესტროდან დათხოვნილი 14 თანამშრომლის შრომით უფლებებს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო იცავს.

2016 წლის დასაწყისში „მაესტრომ“ თანამშრომლობა სტუდია „მონიტორთან“ შეწყვიტა, რომლის საგამოძიებო გადაცემები არხის ეთერში 7 წელი გადიოდა.

სამართლებრივი და ფინანსური დავის ისტორია

მაესტროს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს შორის 2015 წელს დავა ფინანსურ და საკუთრებით საკითხებთან დაკავშირებით წარმოიშვა, რამაც განვითარება 2016 წელს ჰპოვა.

2015 წლის 18 სექტემბერს შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორმა ეთერ გადაბაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „სტუდია მაესტროს“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადებით მიმართა. სასამართლომ საქმე წარმოებაში 6 ოქტომბერს მიიღო.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საიტზე დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, სტუდია მაესტროს სარეკლამო და სასპონსორო შემოსავალმა 2015 წელს 5,123, 105 ლარი შეადგინა. როგორც მაესტროს მენეჯმენტის განცხადებებიდან ირკვევა, დეკლარირებული შემოსავლების გარდა, არსებობს საკრედიტო დავალიანება და ტელეკომპანიას 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით

[18] http://civil.ge/geo/article.php?id=28206

[19] ტაბულა, 22 დეკემბერი, 2014. http://www.tabula.ge/ge/story/91116-sanaia-gadabadzem-mitxra-rom-arxs-xelisuflebastan-problemebs-shevuqmnidi

[20] ტაბულა, 22 დეკემბერი, 2014. http://www.tabula.ge/ge/story/91111-zhizhilashvili-gogeliam-mitxra-rom-maestro-gaxdeba-ideologizebuli-proqartuli

54 მილიონიონ ლარის ვალი ერიცხება, მაკა ასათიანი კი მათ შორის უმსხვილესს კრედიტორად ითვლება (49 მილიონი ლარი).

22 სექტემბერს კომპანიის 25%-იანი წილის მესაკუთრემ გია გაჩეჩილაძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ გადაწყვეტილებას. მან მენეჯმენტი არხის მიზანმიმართულად გაკოტრების მცდელობაში დაადანაშაულა და მისი მართვაში გადაცემა მოითხოვა, ხოლო თანხმობის შემთხვევაში, საფინანსო გარანტიების წარდგენის სურვილიც გამოთქვა. გიორგი გაჩეჩილაძემ გაკოტრების დაწყების შესახებ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რის საფუძველზეც სტუდია მაესტროს ხარვეზი დაუდგინდა. ხარვეზის გამოსწორების შემდეგ 2015 წლის 8 დეკემბერს სასამართლომ განცხადება კვლავ წარმოებაში მიიღო და „სტუდია მაესტროს“ მეურვედ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო დაინიშნა.

ამ პროცესთან მიმართებით თავიდანვე გამოითქვა ეჭვი, რომ გაკოტრების პროცედურის წამოწყება არა რეალურ მიზანს, არამედ დამფუძნებლებს შორის უთანხმოებას უკავშირდებოდა და წარმოადგენდა სამართლებრივ გზას წილთა კონფიგურაციის შეცვლისათვის.

წილთა კონფიგურაციის შეცვლის ისტორია

2016 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით, შპს „სტუდია მაესტროს“ პარტნიორების წილთა გადანაწილება ამგვარად გამოიყურება: გიორგი გაჩეჩილაძე 55%, მამუკა ღლონტი 15%, ეკატერინე აკობია 5%, მაკა ასათიანი 25%.

პარტნიორების წილთა გადანაწილება მას შემდეგ შეიცვალა, რაც 2016 წლის 2 თებერვალს საჯარო რეესტრში ცვლილება დარეგისტრირდა და ცნობილი გახდა, რომ საკონტროლო პაკეტის 55% წილის მფლობელი გახდა გიორგი გაჩეჩილაძე, რომელმაც შპს „სტუდია მაესტროს“ ორი თანამფლობელისგან – გიორგი ებრალიძისა და ლევან ჩიკვაიძისგან მათი კუთვნილი 15-15% წილები გამოისყიდა. შპს „სტუდია მაესტროს“ წილების დანარჩენ მფლობელებად კვლავ დარჩნენ მამუკა ღლონტი (45%), მაკა ასათიანი (25%) და ეკატერინე აკობია (5%.).

2016 წლის 4 თებერვალს გამართულ პარტნიორთა კრებაზე არხის დირექტორი ეთერ (ბაია) გადაბაძე თანამდებობიდან გადააყენეს და მის ადგილზე გიორგი გაჩეჩილაძის ძმა, ლევან გაჩეჩილაძე დაინიშნა. თუმცა, რეესტრმა დირექტორის ცვლილება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების გამო არ დაარეგისტრირა.

მაკა ასათიანის მხარე პარტნიორთა გადაწყვეტილებას სადაოდ ხდის და 2011 წლის 26 ნოემბერს გიორგი გაჩეჩილაძესა და შპს „სტუდია მაესტროს“ დანარჩენ პარტნიორებს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მიუთითებს. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, არაუგვიანეს 2012 წლის 10 დეკემბრისა გიორგი გაჩეჩილაძეს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ მის საკუთრებაში არსებული წილი დანარჩენი პარტნიორებისთვის მათი წილების შესაბამისად შემდეგი პრო-

პორციით უნდა გადაეცა: მამუკა ღლონტს – 7,5%, ლევან ჩიკვაიძეს – 7,5%, გიორგი ებრალიძეს – 7,5% და ეკატერინე აკობიას – 2,5%. მხარეთა შეთანხმებით ნასყიდობის საერთო ღირებულება განისაზღვრა 400 ლარით, გიორგი გაჩეჩილაძესა და შპს „სტუდია მაესტროს“ დანარჩენ პარტნიორებს შორის 2011 წლის 23 მარტს გაფორმებული წილის სასყიდლით დათმობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, გიორგი გაჩეჩილაძის 25%-იანი წილის მართვის უფლება გადაეცა ილია კიკაბიძეს, შპს „სტუდია მაესტროს“ იმდროინდელ დირექტორს.

გიორგი გაჩეჩილაძე მაესტროს მეწილეთა შორის 2011 წლიდან ჩნდება. 26 აპრილს ის 50% წილის მფლობელი ხდება (23% – მამუკა ღლონტისგან, 4% – ლევან ჩიკვილაძისგან, 23% – გიორგი ებრალიძისგან). ამ გადანაწილებიდან სამ დღეში, 29 აპრილს კი გიორგი გაჩეჩილაძის 25%-იანი წილის მფლობელი მაკა ასათიანი ხდება.

ინფოგრაფიკა 2. მაესტროს მეწილეთა კონფიგურაცია 2002-2016



2009 წელს შპს „სტუდია მაესტროს“ სამწლიანი ხელშეკრულება კომპანიის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ შპს „რუსთავის მედიის მართვის კომპანიასთან“ ჰქონდა გაფორმებული, რომლის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი ეროსი კიწმარიშვილი იყო.

ეროსი კიწმარიშვილმა, ლევან გაჩეჩილაძემ და კოტე გოგელიამ 2010 წლის ოქტომბერში თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ახალი პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პარტია“ დააფუძნეს, რომლის მიზნად რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება დასახელდა. მოგვიანებით კოტე გოგელიამ, რომელიც მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი და მაესტროს დამფუძნებლის მაკა ასათიანის მეუღლეა, პარტია უთანხმოების გამო დატოვა[21].

ტელეკომპანია „იმედის“ ინტერესი

იმ პირობებში, როცა „მაესტროს“ გაკოტრების საქმეს სასამართლო იხილავდა, დამატებითი შეკითხვები ტელეკომპანიაში კონკურენტი არხიდან მილიონიანი ინვესტიციის გაკეთების სურვილმა გააჩინა.

მაესტროს 55%-იანი წილის მფლობელმა გია გაჩეჩილაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ „მაესტროს“ ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად ის პატარკაციშვილების ოჯახს დაუკავშირდა და მისი მეგობარი ირაკლი რუხაძე დახმარებას დაჰპირდა[22]. ირაკლი რუხაძე კერძო ინვესტიციებისა და კაპიტალის საერთაშორისო მართვის კომპანიის „სელფორ ჯორჯიას“ ხელმძღვანელია. ის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან დაახლოებული პირია, რომელსაც ტელეკომპანია „იმედის“ არაფორმალურ მმართველადაც მოიხსენიებენ. სწორედ ირაკლი რუხაძის გადაწყვეტილებას უკავშირებს მისი გადაცემის „იმედზე“ დახურვას ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია.[23]

2016 წლის 8 თებერვლას მაესტროს მოქმედმა გენერალურმა დირექტორმა ბაია გადაბაძემ მიმოწერა გაასაჯაროვა, რომლითაც ირკვევა, რომ ირაკლი რუხაძეს “მაესტროს” შეძენის სურვილი ადრეც გააჩნდა და ამ მიზნით ერთ-ერთ მეწილესთან, კოტე გოგელიასთან და მაკა ასათიანთან გარიგების დადებასაც ცდილობდა. მისი თქმით, რუხაძეს 7 მილიონ ნახევარ დოლარად სურდა „მაესტროს“ შინაარსის, მათ შორის ლიცენზიებისა და სიხშირეების მოპოვება[24].

კომერციულ გარიგებაზე მიმდინარე მოლაპარაკებები ირაკლი რუხაძემაც დაადასტურა, რომელმაც მხარეებს შორის ფასზე შეუთანხმებლობაზე გააკეთა აქცენტი.

„კოტე გოგელია ითხოვდა 9,5 მილიონს, ჩვენ ვთავაზობდით 7,5 მილიონს. დღეს კოტე ითხოვს 5,5-ს 30 პროცენტში, თუ არ ვცდები ბაჩო კიკაბიძის წილის გასხვისებაში. მე კოტეს ველაპარაკე

---

21 ნეტგაზეთი, 3 ნოემბერი, 2011. http://netgazeti.ge/news/11300/

22 ლიბერალი, 2 თებერვალი, 2016. http://liberali.ge/news/view/20570/gachechiladze-maestro-rom-gadamerchina-patarkatsishvilebis-ojakhtan-mokhda-chemi-urtiertoba

23 http://www.timer.ge/grigoliam-aseve-misi-da-irakli-rukhadzis-urthierthobaze-isaubra/

24 ტაბულა, 8 თებერვალი, 2016. http://www.tabula.ge/ge/story/104418-gadabadze-irakli-ruxadze-maestros-xelshi-chagdebas-adrec-cdilobda

7-8-ჯერ, ორი კვირის განმავლობაში და მაშინ რომ დათანხმებოდა „უცნობი“ ამ თანხას, არავის გეცოდინებოდათ ახლა ეს ამბები“, – განაცხადა ირაკლი რუხაძემ[25].

2016 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანია „მაესტროსა“ და GDS-ის სარეკლამო დროს ტელეკომპანია „იმედი“ გაყიდდა. ამავე დროს 2016 წლიდან სამივე კომპანია სატელევიზიო რეიტინგების მთვლელი ახალი მოთამაშის ტრი-მედიას ხელმომწერი გახდა და ბაზარზე ადრე მოქმედ კომპანია TVMR საქართველოსთან ხელშეკრულება აღარ გააგრძელა.

8 თებერვალს მაესტროსთან განვითარებულ მოვლენებზე განცხადება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა ჯონ კირბიმ გააკეთა და საქართველოს დემოკრატიული სიცოცხლისუნარიანობისთვის მედიის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

[25] ინტერპრესნიუსი, 9 თებერვალი, 2016. http://www.interpressnews.ge/ge/politika/365436-irakli-rukhadze-ganckhadebas-gavaketheb-sadac-shevecdebi-yvelaferi-ganvmarto.html?ar=A

4 სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა / გადაცემების დახურვა

2015 წელს 3 პოლიტიკური თოქ-შოუ დაიხურა. აქედან 2 ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადიოდა და ყველაზე რეიტინგულ გადაცემების რიცხვში შედიოდა. მმართველი პარტიის წარმომადგენლის კომენტარი კერძო ტელეკომპანიის გადაწყვეტილებაზე აღნიშნული პროცესით ხელისუფლების დაინტერესების შთაბეჭდილებას ტოვებს. მესამე თოქ-შოუ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადიოდა და მისი დახურვა წამყვანის ოპოზიციური პარტიის ლიდერზე დაქორწინებას დაუკავშირდა. 2016 წელს კი თავად გადაცემის წამყვანის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა. 2015 წლის ბოლოს სამსახურიდან გაათავისუფლეს ასევე რეგიონული ტელევიზიის ბათუმის 25 არხის საინფორმაციოს ხელმძღვანელი და ჟურნალისტები.

4.1. ტელეკომპანია „იმედში“ თოქ-შოუების დახურვა

2015 წლის 29 აგვისტოს, ტელეკომპანია „იმედმა“ გაავრცელა განცხადება საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების დროებით შეჩერებისა და განახლებული ფორმატის მაყურებლისთვის 2016 წელს შეთავაზების შესახებ.

სოციალურ ქსელში გავრცელდა გადაცემების „რეაქციისა“ და „იმედის კვირის“ პროდიუსერებისა და ჟურნალისტების ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომერციულად მომგებიანი გადაცემების სატელევიზიო სეზონის დასაწყისში, არჩევნებამდე 1 წლით ადრე შეჩერება ეჭვს ბადებდა. სარედაქციო ჯგუფი და გადაცემის წამყვანი ინგა გრიგოლია ტელეკომპანიის გადაწყვეტილებას პოლიტიკური გავლენის შედეგად აფასებდნენ. მათ ეჭვს ისიც ამყარებდა, რომ გადაცემის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება ჟურნალისტებმა ტელევიზიით შეიტყვეს, ხოლო ახალი საშემოდგომო სეზონისთვის გადაცემის განახლებული ანონსი ტელეკომპანიას ჩაწერილი ჰქონდა.

ტელეკომპანია „იმედმა“ საპასუხო განცხადებაში ჟურნალისტების შეფასებებს საფუძველს მოკლებული უწოდა.

სარედაქციო დამოუკიდებლობაში ხელისუფლების ჩარევაზე ინგა გრიგოლია გადაცემის დახურვამდეც საუბრობდა. 2015 წლის მარტში მან საჯაროდ განაცხადა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“

საპარლამენტო უმრავლესობამ რედაქციას მოსთხოვა, თოქ-შოუ „რეაქციაში“ ოპოზიციური პარტიის – ნაციონალური მოძრაობის მიერ 21 მარტს დაგეგმილი საპროტესტო აქციის თემა არ გაეშუქებინა. რუსთავი 2-თან „იმედის“ თოქ-შოუების დახურვის კომენტირებისას, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა გოგი თოფაძემ აღნიშნა[1], რომ გადაცემის წამყვანები არაერთხელ გააფრთხილეს და რომ არაობიექტურობა არავის ეპატიებოდა.

> გოგი თოფაძე, ქართული ოცნება: **„არხი გადავიდა ამ ხელისუფლების მარტო კრიტიკაზე, ლანძღვაზე, მე ვიტყოდი და რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რაღაც ზომები უნდა მიეღოთ. არაერთხელ იყო გაფრთხილება მაგათი, იყოთ ობიექტურები, მეც არაერთხელ მითქვამს. ასეთი არაობიექტურობა არავის ეპატიება“.**

ინგა გრიგოლიამ ასევე განაცხადა[2], რომ მისი გადაცემების „იმედზე“ დახურვა ირაკლი რუხაძეს უკავშირდებოდა, რომლის სახელი მაესტროს საკუთრებასთან დაკავშირებულ დავაშიც ფიგურირებს და რომელიც პატარკაციშვილების ოჯახის ბიზნესს განკკარგავს.

ტელეიმედის დახურვას განცხადებით გამოეხმაურა 10 არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეუძლებელია ლოგიკურად აიხსნას მაღალრეიტინგული და კომერციულად მომგებიანი გადაცემების დახურვა. ისინი მიმართავენ საერთაშორისო თანამეგობრობას „ყურადღება მიექცეს საქართველოში ავტორიტარიზმის მზარდ გამოვლინებებს“.

სატელევიზიო რეიტინგების გამზომავი კომპანია TVMR საქართველოს მონაცემებით, 2015 წლის რეიტინგებში თოქ-შოუ „რეაქცია“ წლის 10 საუკეთესო გადაცემას შორის მოხვდა.



[1] „კურიერი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, 31 აგვისტო, 2015. http://rustavi2.com/ka/news/25055
[2] ტაიმერი, 9 თებერვალი, 2015. http://www.timer.ge/grigoliam-aseve-misi-da-irakli-rukhadzis-urthierthobaze-isaubra/

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური თოქ-შოუების დახურვა პრობლემურად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა – „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“, მედიის განვითარების ფონდმა.

4.2. საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუს დახურვა

4 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველმა ბასა ჯანიკაშვილმა მედიის ადვოკატირების კოალიციის მიერ ორგანიზებულ დისკუსიაზე, სადაც ტელემედიების წინაშე მდგარ გამოწვევებზე იყო საუბარი, განაცხადა, რომ გადაცემა „პირველი სტუდიის“ წამყვანს, ეკა მიშველაძეს პოლიტიკოს ალექსი პეტრიაშვილზე დაქორწინების გამო ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა. თავად ჟურნალისტმა გადაცემის დახურვის შესახებ აღნიშნულ საჯარო შეხვედრაზე შეიტყო.

ეკა მიშველაძის სამუშაო კონტრაქტით ინტერესთა კონფლიქტის შესახებ აკრძალვა გათვალისწინებული არ ყოფილა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის 22.2 მუხლის თანახმად, მაუწყებლის თანამშრომელი ვალდებულია განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. კერძოდ, „თუ თანამშრომელს საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან შეიძლება წარმოიშვას ასეთი კონფლიქტი, იგი ვალდებულია ამის შესახებ მაუწყებლის ხელმძღვანელობას აცნობოს. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად მაუწყებელმა და თანამშრომელმა ყველა სათანადო ზომა უნდა მიიღონ. ვითარებიდან გამომდინარე, თანამშრომელს შეაძლოა გარკვეული საკითხების გაშუქებაზე უარის თქმა ან სხვა სამსახურის შესრულება მოუწიოს[3].“ აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გადაცემის დახურვას, არამედ მენეჯმენტთან შეთანხმებით ინტერესთა კონგლიქტის დაძლევას გარკვეული საკითხების გაშუქებაზე უარის თქმის ან სხვა სამუშაოს შესრულების გზით.

სამოქალაქო სექტორის მხრიდან მძაფრი კრიტიკის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტმა არხის მენეჯმენტისგან შეთავაზება მიიღო და 2016 წლის იანვრიდან ის ახალ ანალიტიკურ გადაცემას წაიყვანდა[4]. თუმცა, 6 თვის ლოდინის შემდეგ, ეკა მიშველაძე არხის მენეჯმენტმა სამსახურიდან გაათავისუფლა. კონტრაქტის შეწყვეტის გადაწყვეტილებას ის სასამართლოში ასაჩივრებს.

4.3. ტელეკომპანი „TV 25“-ის ჟურნალისტების სამსახურიდან დათხოვნა

2015 წლის 31 დეკემბერს რეგიონული ტელევიზიის 25 არხის საინფორმაციო სამსახუროს თანამშრომლები ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ სრული შემადგენლობით დაითხოვა, მოგვიანებით კი გადაწყვეტილება შეცვალა და მხოლოდ ჟურნალისტები – ნინო ხელაძე, ჯაბა ანანიძე, ირმა ზოიძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი მაია მერკვილაძე გაათავისუფლა.

---

[3] საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, მუხლი 22.2. გვ. 51. http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//new_gpb.pdf

[4] ინტერპრესნიუსი, 5 ნოემბერი, 2015. http://bit.ly/1TxMNf9

ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა 2015 წლის 29 დეკემბერს არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსის ბრიფინგი, რომელმაც ტელევიზიის მენეჯმენტი და მფლობელები სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის მცდელობაში დაადანაშაულა. მსგავსი განცხადება გააკეთა ჟურნალისტმა ჯაბა ანანიძემ, რომლის განცხადებით, დამფუძნებელმა ჟურნალისტს სთხოვა, ფილმში აჭარის მთავრობასთან დაახლოებულ ბიზნესმენ გიორგი ჭყონიაზე საუბრისას ტონი შეერბილებინა.

ტელევიზიაში დაპირისპირება 14 დეკემბერს ეთერში აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლის დაკავების შესახებ გასულ სიუჟეტს მოჰყვა. დაკავებული არხის მთავარი რეჟისორის ოჯახის წევრია, რის გამოც მან საინფორმაციო სამსახურის უფროსს მაია მერკვილაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დაემუქრა. მომხდარიდან 15 დღის შემდეგ ტელევიზიის მენეჯმენტმა საინფორმაციო სამსახურიდან ყველა თანამშრომელი დაითხოვა.

„ტელეარხ 25“-ის ხელმძღვანელობამ არსებულ ვაკანსიებზე ახალი თანამშრომლების აყვანის შესახებ განცხადება გააკეთა. დათხოვნილმა თანამშრომლებმა კი ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარედაქციო საკითხებში ჩარევისა და შრომითი უფლებების დარღვევის საფუძვლით მიმართეს.

5 სასამართლო პრაქტიკა

5.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა – პრაქტიკაში არსებული პრობლემები

შესავალი

მედიასთან დაკავშირებული საქმეების მონიტორინგის სრულფასოვნად განსახორციელებლად ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, ინფორმაციის მიღება და დამუშავება, რომელიც სწორედ სახელმწიფო დაწესებულებების მფლობელობაშია. საქართველოს კანონმდებლობა დაინტერესებული პირებისათვის ამ მხრივ საკმაოდ ეფექტიან მექანიზმს ითვალისწინებს, რაც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ ნორმებში (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ინფორმაციის თავისუფლების თავი) გვხვდება. თუმცა, კანონდებლობის ეფექტიანად აღსრულებისათვის მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული ორგანოებისა და ზოგადად საჯარო დაწესებულებების ნება, უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადებში.

ნებისმიერი მოქალაქისა თუ ორგანიზაციისათვის, რომელიც კონკრეტული საჯარო ინფორმაციის მიღებით არის დაინტერესებული, მნიშვნელოვანია, ამ ინფორმაციის გარკვეულ ვადებში მიღება, რამდენადაც ინფორმაციის დამუშავება კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ხოლო დაგვიანებით მიღებულმა ინფორმაციამ შეიძლება დაკარგოს თავისი ღირებულება სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე.

სტატისტიკური მონაცემები

მედიის განვითარების ფონდმა 2014-2015 წლებში ინფორმაცია 150 საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის სამინისტროებიდან და მათი სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე საჯარო სამართლისა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებიდან გამოითხოვა. ინფორმაციის ნაწილი მედიაში გაწეულ საბიუჯეტო ხარჯებს, ხოლო ნაწილი მედიის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საქმეებს შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევებში საჯარო დაწესებულებები საჯარო ინფორმაციას გასცემენ, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული სირთულეები იჩენს თავს.

მედიის განვითარების ფონდს საჯარო ინფორმაცია 17 შემთხვევაში არ მიეწოდა. თითოეულ შემთხვევაში უარი ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციული საჩივრით ზემდგომ უწყებაში გასაჩივრდა, 7 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა და ინფორმაცია ზემდგომი თანამდებობის პირის ან ორგანოს ბრძანების საფუძველზე გაიცა. ხოლო 10 შემთხვევაში ადმინსტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, საქმე სასამართლოში გაგრძელდა. სასამართლოში 4 დავა მორიგებით დასრულდა; 1 სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო 1 სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა. 5 დავა სასამართლოში ამ დრომდე მიმდინარეობს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შეუტყობინებლობა

ზოგიერთი საჯარო დაწესებულება არა მხოლოდ არ გასცემს საჯარო ინფორმაციას, არამედ უარის შესახებაც განმცხადებელს არც აცნობებს. ეს თავისთავად პრობლემატურია, რამდენადაც ამ შემთხვევაში განმცხადებელი მხოლოდ ინფორმაციის გაცემისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ შეიტყობს, რომ მან განცხადებაში მითითებული ინფორმაცია ვერ მიიღო და ასევე არ შეუძლია ივარაუდოს, თუ რა საფუძვლით არ გაიცა ეს ინფორმაცია.

მედიის განვითარების ფონდმა საჯარო ინფორმაცია საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატიდან 2015 წლის 13 იანვარს გამოითხოვა; შინაგან საქმეთა სამინისტროდან – 2015 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო სს საქართველოს რკინიგზიდან – ამავე წლის 24 ივნისს. არც ერთ შემთხვევაში განმცხადებელს უარი ინფორმაციის გაცემაზე არ ეცნობა და არც გამოთხოვნილი ინფორმაცია მიეწოდა განსაზღვრულ ვადაში.

ინფორმაციის გაცემა სასამართლო დავის ეტაპზე

მედიის განვითარების ფონდმა 2014 წლის 25 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-ების – დაცვის პოლიციის, 112-ის და შსს აკადემიისაგან გამოითხოვა ინფორმაცია მათ მიერ სარეკლამო, მარკეტინგულ და მედია მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით. თუმცა ამ ინფორმაციის მიღება მხოლოდ სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ მოხერხდა. ამ შემთხვევაში აღნიშნული საქმეები მორიგებით დასრულდა, თუმცა ინფორმაციის მიღებას რამდენიმე თვე დასჭირდა. ამ ორგანოებმა სასამართლო დავის მიმდინარეობისას გადაწყვიტეს ინფორმაციის გაცემა, რაც თავისთავად საგანგაშო ფაქტია, რადგან ეს მიუთითებს, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ ინფორმაციის საჯარო ხასიათი და მისი გაცემის ვალდებულება, თუმცა ამ ვალდებულებას ასრულებენ არაჯეროვნად და მხოლოდ სასამართლოში დავის წამოწყების შემთხვევაში იჩენენ ძალისხმევას. ეს თავის მხრივ დროს და რესურს აკარგვინებს როგორც ინფორმაციით დაინტერესებულ მხარეს, ასევე იწვევს ადმინისტრაციული რესურსის არაეფექტიან ხარჯვას.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების გაჭიანურება

მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა, რომ კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის მომზადებისა და გაცემისათვის 10 დღიან ვადას აწესებს, თუმცა ეს არის არა მინიმალური, არამედ მაქსიმალური ვადა,

რომელშიც საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის გაცემა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული დაწესებულება ვალდებულია, რაც შეიძლება სწრაფად გასცეს გამოთხოვილი ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის პროაქტიულად არის გამოქვეყნებული. კანონმდებლობის ამგვარი მიდგომა ეფუძნება პრეზუმფციას, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს, თუ არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი ობიექტური გარემოება.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაინტერესებული მხარე სასამართლო დავას იგებს, MDF-ის პრაქტიკით, ინფორმაციის გამოთხოვიდან ინფორმაციის მიღებამდე ვადა საშუალოდ ნახევარ წელს აღწევს:

ცხრილი 1.1. სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვის ვადები MDF-ის 2014-2015 წლის პრაქტიკის მიხედვით.



	ენერგეტიკის განვითარების	სავაჭრო სამრეწველო	შსს	დაცვის პოლიცია	112	მთავარი პროკურატურა	რკინიგზა	საქართველოს ფოსტა	საჯარო რეესტრი	შსს აკადემია
დასრულებული		11	9	7	7					5
მიმდინარე პროცესი	13					7	6	6	6	

პრობლემურია, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების ვადები. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მედიის განვითარების ფონდის სარჩელი საქართველოს პროკურატურის წინააღმდეგ და ამის შესახებ გადაწყვეტილება 2015 წლის 18 ნოემბერს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა, თუმცა გადაწყვეტილება ფონდს თითქმის 2 თვის შემდეგ (14 იანვარი), ვადების დარღვევით ჩაბარდა, რაც ინფორმაციის მიღების ვადას დამატებით აჭიანურებს.

საქართველოს მთავარი პროკურატურა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრობლემურ და დახურულ უწყებას საქართველოს მთავარი პროკურატურა წარმოადგენს. ბუნებრივია, პროკურატურის საქმიანობის არსიდან გამომდინარე, ნებისმიერი ინფორმაცია ვერ იქნება იმდენად ღია, როგორც ეს სხვა საჯარო უწყებების საქმიანობის შემთხვევაშია, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამონაკლისო დანაწესს მთავარი პროკურატურა აქცევს ნორმად და ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით მავნე პრაქტიკას ნერგავს. მედიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინციდენტზე, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურატურა მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ა ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებუ-

ლია პირის სისხლის სამართლებრივ დევნასთან და საქმის წარმოებასთან. ამ მიდგომით საქართველოს მთავარი პროკურატურა გამორიცხავს თავის თავს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან და მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებზე გამოძიების დაწყებასაც არ ადასტურებს, ხოლო გაჭიანურებული გამოძიებების შემთხვევაში, გამოძიების მიმდინარეობის ან მისი შედეგების შესახებ საზოგადოებას ინფორმირების გარეშე ტოვებს. კანონის არასწორი ინტერპრეტაცია სამოქალაქო საზოგადოებას ართმევს შესაძლებლობას აკონტროლოს, თუ როგორ ასრულებენ საგამოძიებო და მდევნელი ორგანოები თავიანთ ვალდებულებას. ამ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე ვერ იღებს ინფორმაციას ვერც იმ ტიპის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება დადასტურებულად დაწყებულია და ხელშესახები შედეგი არ არსებობს. ეს ტოვებს შესაძლებლობას უსასრულოდ გაჭიანურდეს გამოძიება ისეთ მნიშვნელოვან საქმეებზე, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საჯარო ინფორმაცია

საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, პრობლემას წარმოადგენს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. ადმინისტრაციული ორგანოები კანონის ნორმების ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მიზანშეწონილობიდან გამომდინარე განმარტებას ვერ ახერხებენ და ერთგვაროვანი არადიფერენცირებული მიდგომით არ გასცემენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც პერსონალურ მონაცემს შეიცავს.

მედიის განვითარების ფონდმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან გამოითხოვა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სადამფუძნებლო დოკუმენტები, რამდენადაც სურდა შეემოწმებინა ხომ არ ირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკრძალვა, რომლის მიხედვითაც მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი. თუმცა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან ფონდმა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია მიიღო, რომელშიც დაშტრიხული იყო პარტიის თანამდებობის პირთა (გენერალური მდივანი და სარევიზიო კომისიის წევრები) სახელები და გვარები პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, გარდა პარტიის თავმჯდომარისა. იმ პირობებში, როცა თავად პოლიტიკური გაერთიანების ამოცანებიდან გამომდინარე, ისინი საჯარო პირებს წარმოადგენენ, ბუნდოვანია, რა სიკეთის დაცვას ემსახურება პარტიის თანამდებობის პირთა ვინაობის დაფარვა. აღნიშნული დავა ასევე სასამართლოში მიმდინარეობს, ხოლო სასამართლო პროცესი ჭიანურდება საქმეში მესამე პირად საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ჩართვის გამო. რაც თავისთავად გაურკვეველი საპროცესო მოქმედებაა, რამდენადაც ამ შემთხვევაში მოსარჩლე მხარე დავობს სწორედ იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული, გასცეს საადავო ინფორმაცია, პერსონალური მონაცემების სუბიექტის თანხმობის მიუხედავად.

პერსონალური მონაცემების დაფარვა პრობლემურია სასამართლო გადაწყვეტილებების გამოთხოვისასაც, რადგან კონკრეტული საქმე საჯარო ინტერესის საგანი სწორედ ამ საქმის სუბიექტიდან გამომდინარე შეიძლება იქცეს. მონაცემების დაფარვა კი ხშირად შეუძლებელს ხდის მთლიანად გა-

დაწყვეტილების მოძიებას. მედიის განვითარების ფონდმა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელი მოამზადა.

საკონსტიტუციო სარჩელი

მედიის განვითარების ფონდის საკონსტიტუციო სარჩელის მიხედვით, არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის (საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა). ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს – ნორმის იმგვარად განმარტებას, რომ საერთო სასამართლოებმა სასამართლოს თითოეულ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში/განაჩენში მონაწილე პირების ვინაობა და მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია დაფარონ განურჩევლად ყველა შემთხვევაში. ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელსაც ეფუძნება ამგვარი პრაქტიკა, ფონდი ასაჩივრებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში, რომლითაც დაცულია ინფორმაციის მიღების თავისუფლება.

მედიის განვითარების ფონდი მიიჩნევს, რომ დოკუმენტებზე საჯარო დაშვების უფლება უნდა იყოს იმდენად ფართო, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ინფორმაციის გაცემა უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, როცა ინფორმაციის გამჟღავნება დააზიანებს კონკრეტულ საჯარო ან კერძო ინტერესს. პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვები უნდა დადგინდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში და არა ზოგადად.

საჯარო ინფორმაციის მიღება კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან

ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მიღება კერძო სამართლის – სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ააიპ ან სამეწარმეო ტიპის იურიდიული პირებისაგან. უმეტეს შემთხვევებში კერძო სამართლის იურიდიული პირები უარყოფენ მათ ვალდებულებას, გასცენ საჯარო ინფორმაცია იმ მოტივით, რომ ისინი არ წარმოადგენენ საჯარო სამართლის სუბიექტებს. ამ პრობლემას შეეხება მიმდინარე დავა საქართველოს ფოსტასა და საქართველოს რკინიგზასთან.

თუმცა 2015 წლის 11 ივნისს მედიის განვითარების ფონდის სარჩელი ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ დაკმაყოფილდა. მოსამართლემ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება და განამტკიცა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, კერძო სამართლის იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, გასცენ საჯარო ინფორმაცია, თუ ისინი თავისი ფუნქციებით საჯარო სამართლის უფლებამოსილების მატარებელნი არიან. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მედიის განვითარების ფონდს შესაბამისი რესურსის მობილიზება და 7 თვე დასჭირდა გამოთხოვილი ინფორმაციის მისაღებად.

რეკომენდაციები

- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავის ეფექტიანი იმპლიმენტაციისთვის, საჯარო დაწესებულებებმა ქმედით ღონისძიებებს უნდა მიმართონ და ამ მიზნით მკაფიო შიდა პროცედურები დანერგონ.
- საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამართოს კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოების და იურისტების მონაწილეობით, რათა გამორიცხული იყოს კანონის არასწორი ინტერპრეტაცია და აღმოიფხვრას ის პრაქტიკა, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე ამ უწყებამ დანერგა.
- სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საქმეების დროული განხილვა, რათა პროცესები განუსაზღვრელი ვადით არ გაჭიანურდეს და საჯარო ინფორმაციამ თავისი ღირებულება არ დაკარგოს.

5.2. გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები

2015 წელს სასამართლოში პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელების საფუძვლით მოხდა ორი სარჩელის ინიცირება, რომელიც ჟურნალისტთა მხრიდან საჯარო პირთა კორუფციაში მხილებას უკავშირდებოდა. პირველი შემთხვევა პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს შეეხებოდა, მეორე – ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული თანაინვესტირების ფონდის შესახებ ჩატარებულ ჟურნალისტურ გამოძიებას. კიდევ ერთი სასამართლო დავა შეეხებოდა ოპოზიციური პარტიის ოჯახის წევრის წინააღმდეგ ონლაინ მედიაში გამოქვეყნებული ფაქტების უარყოფას.

5.2.1. პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე გაზეთ „ქრონიკა+"-ის რედაქტორის ელისო კილაძის წინააღმდეგ

2015 წლის 22 დეკემბერს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის სახელით მისმა ადვოკატმა დავით ლანჩავამ გაზეთ „ქრონიკა+"-ის რედაქტორის ელისო კილაძის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა.

მედიაში გავრცელებული განცხადების თანახმად, სარჩელის მიზანია დამტკიცდეს, რომ „ქრონიკა +"-ის მიერ საჯარო პირის, მანანა კობახიძის წინააღმდეგ გავრცელდა პატივისა და ღირსების შემლახავი, არასწორი, შეგნებული ცილისწამება, რომელიც მიმართული იყო საზოგადოების თვალში მისი დისკრედიტაციისკენ.

კობახიძე კილაძეს ცილისწამებაში ადანაშაულებს და სასამართლოსგან მოითხოვს, რომ ელისო კილაძეს სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაავალოს.

ჟურნალისტის გარდა, პარლამენტის ვიცე-სპიკერი საკრებულოს წევრ ალეკო ელისაშვილსაც უჩივის. საჩივარი მათ მიერ ე.წ. შეწყალების საქმესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს ეხება.

კერძოდ, ბრალდებას, რომ მანანა კობახიძეს და ეკა ბესელიას ნარკოკარტელის გახმაურებულ საქმეში მსჯავრდებულთა შეწყალების ფინანსური დაინტერესება ჰქონდათ.

5.2.2. „საქართველოს სათბურის კორპორაცია“ შპს სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2“-სა და ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ

2015 წლის 6 მაისს სს „საქართველოს სათბურის კორპორაციამ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. საქმეში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხეების მიერ გავრცელებული მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარმყოფელი ცნობების გამოქვეყნება.

2015 წლის 21 მარტს, „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის გადაცემაში „განსხვავებული აქცენტები“ ითქვა, რომ სს „საქართველოს სათბურის კორპორაციას“ 2014 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 1477 დადგენილებით პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში 1 ლარად გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 350 000 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც სახელმწიფოს 2,450,000 ლარად ჰქონდა შეფასებული. მოსარჩელის პოზიციით, „სათბურის კორპორაციისთვის“ 1 ლარად გასხვისებული მიწა პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა 9, 800,000 მილიონი ლარის ღირებულების საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე ასკვნის, რომ „რუსთავი 2“-ის მიერ გაკეთებული განცხადება არსებითად მცდარ ფაქტებს შეიცავდა და არასრული ინფორმაცია განზრახ გავრცელდა.

მოსარჩელის პოზიციით, გადაცემის ავტორმა გაავრცელა ცილისმწამებლური ინფორმაცია, რომ სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ მფლობელია თანაინვესტირების ფონდის მმართველი კომპანია „ჯი სი ეფ პარტნიორები“, რომლის 50-50%-ს ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი, უჩა მამაცაშვილი და თანაინვესტირების ფონდის გენერალური დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი ფლობენ.

2015 წლის 24 მარტს, „ რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემაში „კურიერი“ გაკეთდა განცხადება, რომ გარდაბანში მდებარე 2 500 000 ლარის ღირებულების ფართობი ერთ ლარად გადაეცა ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის კომპანიას. სიუჟეტის დასრულებისას ნაჩვენები იყო ძველი, საბჭოთა პერიოდის აშენებული სათბური, რომელიც არ წარმოადგენს სს „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ საკუთრებას. მოსარჩელის პოზიციით, სიუჟეტით ისე წარმოჩინდა, თითქოს სათბურის კორპორაციას არავითარი ინვესტიცია არ განუხორციელებია.

მოსარჩელე ითხოვს, მოპასუხეებს დაევალოთ მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა თანაზომადი ფორმით – იმავე საშუალებით, იმავე გადაცემებში - „განსხვავებული აქცენტები“ და კურიერი“. კერძოდ, მოსარჩელე მხარე მოითხოვს მოპასუხე მხარისგან შემდეგი ინფორმაციის განცხადებას: (1) არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ „საქართველოს სათბურის კორპორაციის“ მფლობელია თანაინვესტირების ფონდის მმართველი კომპანია „ჯი სი ეფ პარტნი-

ორები“, რომლის 50-50%-ს ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი და თანაინვესტირების ფონდის გენერალური დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი ფლობენ.“ რეალურად სს „სათბურის კორპორაციის“ აქციონერია შპს „ჯორჯიან აგრო დეველოპმენტი“; (2) არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ სს „სათბურის კორპორაციის“ მიერ უძრავი ქონების შეძენა მხოლოდ 1 ლარად მოხდა, არამედ პრივატიზაციის პირობად განისაზღვრა სააქციო საზოგაოებისათვის აღნიშნული ქონების გადაცემა 9,800,000 მილიონი ლარის ღირებულების საინვესტიციო ვალდებულების შესრულების პირობით.

მოსარჩელე მხარე სარჩელში აღნიშნავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. მოსარჩელე მხარე უდავოდ მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები წარმოადგენს არა ჟურნალისტის პირად შეხედულებებს, მოსაზრებებს მოსარჩელე მხარესთან დაკავშირებით, არამედ ფაქტების მტკიცებას. მოსარჩელის აზრით, ფაქტების გადაუმოწმებლობა მეტყველებს ფაქტების განზრახ დამახინჯებას.

5.2.3. დავით ვაშაძე „ექსკლუზივნიუსის“ წინააღმდეგ

სარჩელი: 2014 წლის 18 აგვისტოს საინფორმაციო სააგენტო ექსკლუზივნიუსმა გამოქვეყნა ჟურნალისტ დარეჯან ლიპარტელიანის სტატია, სათაურით „გიორგი ვაშაძის ძმა „გათხოვდა?!“[1]. მოსარჩელის პოზიციით, აღნიშნული სტატიით ჟურნალისტი ცილს სწამებს მოსარჩელეს კინოთეატრ „პრომეთეს“ ხელმძღვანელ გაგა ჩხეიძესთან ინტიმურ ურთიერთობებსა და მასთან თანაცხოვრებაში.

მოსარჩელის განმარტებით, სტატიის ავტორის ინტერესის ობიექტი გახდა იმდენად, რამდენადაც იგი არის პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის ძმა და მიზნად ისახავს როგორც გიორგი ვაშაძის, ასევე მის დისკრედიტაციას და არა საზოგადოებრივი ინეტერესის დაკმაყოფილებას.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სტატიის ავტორი მას არ დაკავშირებია და არ უცდია მასთან „ინფორმატორის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, მიუხედავად იმისა, რომ სტატიის მიხედვით, მისთვის ცნობილი იყო მისი ტელეფონის ნომერი. შესაბამისად, მოსარჩელისთვის სტატიით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მისი გამოქვეყნების შემდეგ და მას არ მიეცა მის მიმართ გავრცელებული, სინამდვილეს შეუსაბამო ცნობებზე ადეკვატური პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

თავდაპირველად სარჩელში მოპასუხე მხარედ მითითებული იყო როგორც მედია საშუალების მფლობელი შპს „ექსკლუზივნიუსი“, ასევე ჟურნალისტი დარეჯან ლიპარტელიანი, თუმცა 24 მარტს

[1] http://www.exclusivenews.ge/?page=view&artid=6363

გამართულ სხდომაზე მოსარჩელემ მოთხოვნა დააზუსტა და მოპასუხე მხარედ მხოლოდ შპს „ექსკ-ლუზივნიუსი“ მიუთითა.

მოსარჩელე მხარე ითხოვდა: (1) საინფორმაციო სააგენტო „ექსკლუზივნიუსის“ მიერ გავრცელებული მცდარი ფაქტების უარყოფას და სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნებას, (2) დარეჯან ლიპარტელიანისა და შპს „ექსკლუზივნიუსისთვის“ სოლიდარულად, დავით ვაშაძის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღურებას 10 000 ლარის ოდენობით.

2015 წლის 24 მარტს, 10:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, არ გამოცხადნენ მოპასუხეები – დარეჯან ლიპარტელიანი და შპს „ექსკლუზივნიუსი“. მათ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებიათ. მოსარჩელის წარმომადგენელმა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იშუამდგომლა.

გადაწყვეტილება: 2015 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა და სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელი მხარის მოთხოვნა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს ექსკლუზივნიუსს (1) დაეკისრა საინფორმაციო სააგენტო „ექსკლუზივნიუსში“, ამავე სააგენტოში დარეჯან ლიპარტელიანის სტატიის „გიორგი ვაშაძის ძმა „გათხოვდა?!“, – გამოქვეყნებით გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა შემდეგი სახით: საინფორმაციო სააგენტო ექსკლუზივნიუსში, 2014 წლის 18 აგვისტოს გამოქვეყნებულ, დარეჯან ლიპარტელიანის სტატიაში, სათაურით – „გიორგი ვაშაძის ძმა „გათხოვდა“?!“ მოცემული შემდეგი ინფორმაცია: „ვაშაძესა და ჩხეიძეს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ. ახლა კი გადაწყვიტეს, საზოგადოებას არ დაემალონ. ამიტომ გაგა ჩხეიძემ ვაშაძესთან ურთიერთობა „დააკანონა“ და ისინი დღეს ერთად ცხოვრობენ. მოკლედ, გიორგი ვაშაძეს ძმა „გაუთხოვდა“, – არ შეეფერება სინამდვილეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დარეჯან ლიპარტელიანსა და შპს „ექსკლუზივნიუსს“, სოლიდარულად, დავით ვაშაძის სასარგებლოდ, 10 000 (ათიათასი) ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ.

მოტივაცია: გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე მხარე და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. სამოქალაქო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, იურიდიულად ამართლებს სარჩელის მოთხოვნას.

აპელაცია: რედაქციამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა.

კომენტარი: პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სადავოა ჟურნალისტისთვის თანხის დაკისრების საკითხი, რადგან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-6 (2) მუხლის თანახმად, „მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე“. მართალია, მხარემ სხდომაზე დააზუსტა მისი თავდაპირველი მოთხოვნა და მოპასუხედ შპს „ექსკლუზივნიუსი“ მიუთითა, მაგრამ სასამართლომ არასწორად დააკისრა ჟურნალისტს თანხის გადახდა.

6 მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული 2015 წლის ძლიერი ტენდენციები

6.1. ფარული თვალთვალი და შანტაჟი

2015 წელს მედიის წარმომადგენელთა მიმართ ფარული თვალთვალის 2 და შანტაჟის 3 შემთხვევაზე გაკეთდა საჯარო განცხადება. აქედან 2 ტელეკომპანია რუსთავი 2-ს უკავშირდებოდა მაშინ, როდესაც ამ მედია საშუალების წინააღმდეგ სასამართლო დავა აქტიურ ფაზაში იყო შესული, ხოლო ერთი საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანს, რომელიც ოპოზიციური პარტიის – „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთ ლიდერზე დაქორწინდა.

სუს-ის მიერ რუსთავი 2-ის თანამშრომლის სავარაუდო გადაბირების მცდელობა

2015 წლის 8 დეკემბერს რუსთავი 2-მა გაავრცელა ინფორმაცია[1], რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს) ტელეკომპანიის თანამშრომლის, კერძოდ ფინანსური დირექტორის მძღოლის კახა კუბლაშვილის გადაბირებას ცდილობდა.

ტელეკომპანიის ცნობით, კახა კუბლაშვილი ოპერატიულმა ავტომანქანამ გააჩერა და ის ტონირებულ მინებიან Toyota Camry-ში გადასვეს. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული სამართალდამცველები მას სუს-ის თანამშრომლებად წარუდგნენ. თითქმის ორ საათიანი დიალოგის მიზანი, კუბლაშვილის განცხადებით, მისი გადაბირება იყო, სანაცვლოდ მას მატერიალური პირობების გაუმჯობესებას ჰპირდებოდნენ. ამავე ინფორმაციით, თვალთვალი ხორციელდებოდა ტელეკომპანიის ფინანსურ დირექტორზე.

შსს-ს სამინისტროს ინფორმაციით, კახა კუბლაშვილთან შედგა გასაუბრება და დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

[1] http://www.tabula.ge/ge/story/102650-sus-i-rustavi-2-is-tanamshromlis-gadabirebas-cdilobda

ნიკა გვარამიას განცხადება ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით მის დაშანტაჟებასთან დაკავშირებით

2015 წლის 21 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო განცხადება[2] გააკეთა და ხელისუფლების მხრიდან მუქარასა და მისი დაშანტაჟების მცდელობაზე ისაუბრა. ნიკა გვარამიას განცხადებით, ხელისუფლებამ შაუმავლის – საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ალექსი ახვლედიანის – მეშვეობით მას შემდეგი გზავნილი გადასცა: თუ ის არ ჩამოშორდებოდა რუსთავი 2“-ის საკუთრებასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს, მას არ უნდა დავიწყებოდა თავისი ოჯახის წევრების არსებობის შესახებ, ასევე მას უნდა სცოდნოდა, რომ ხელისუფლებას აქვს მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და მიხეილ სააკაშვილთან მისი სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები.

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება იმავე დღეს დაიწყო. 2015 წლის 29 ოქტომბერს, რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის განცხადების გაკეთებიდან ერთი კვირის შემდეგ, ერთ-ერთ უკრაინულ საიტზე გავრცელდა ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილს, ასევე გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. აღნიშნული ჩანაწერების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულების მუხლით დაიწყო. ჩანაწერების განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით პროკურატურას განმარტება არ გაუკეთებია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანის განცხადება ფარული თვალთვალის შესახებ

2015 წლის 8 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს „პირველი სტუდიის“ წამყვანმა ეკა მიშველაძემ „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ საუბრისას განაცხადა[3], რომ მასზე და მის მეუღლეზე, ოპოზიციური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერზე, ალექსი პეტრიაშვილზე ფარული თვალთვალი ხორციელდებოდა.

> **„მანამ, სანამ საზოგადოებრივი მაუწყებლის [გენერალური დირექტორის] მრჩეველი გაიგებდა იმის შესახებ, რომ მე და ალექსი პეტრიაშვილი დავქორწინდით, კი იზრუნეს და ამის შესახებ შესაბამისმა სამსახურებმა იცოდნენ ბევრად უფრო ადრე“**, – განაცხადა ტელეწამყვანმა ეკა მიშველაძემ რუსთავი 2-ის გადაცემა „არჩევანის“ ეთერში.

9 სექტემბერს კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“ სამართალდამცავებს მიმართა[4] და საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა.

---

[2] http://rustavi2.com/ka/news/29585
[3] http://netgazeti.ge/news/43875/
[4] http://www.transparency.ge/post/general-announcement/es-shen-gekheba-isev-eka-mishveladzis-gantskhadebaze-reagirebas-itkhovs

6.2. მუქარა

მუქარის 3 საქმე ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირდებოდა. ერთ შემთხვევაში ის რუსთავი 2-ში გასულ საგამოძიებო მასალას შეეხებოდა და ქურდული სამყაროს წარმომადგენლისგან მომდინარეობდა, მეორე შემთხვევაში აზერბაიჯანულენოვან ონლაინ გამოცემა renessans.ge-ში გამოქვეყნებულ კარიკატურას, რომელიც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად იყო აღქმული, მესამე შემთხვევაში კი მაესტროს ჟურნალისტის მიერ პრემიერ-მინისტრისათვის დასმულ კრიტიკულ შეკითხვას.

ჟურნალისტ ეკა კვესიტაძის მიმართ მუქარა

2015 წლის 24 თებერვალს, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს ჟურნალისტის, ეკა კვესიტაძის ინფორმაციით, მას ე.წ „კანონიერმა" ქურდმა, მინდია გორაძემ, ზედმეტსახელად „ლავას-ოღლიმ" დაურეკა და მასზე მომზადებული სიუჟეტის გამო დაემუქრა. ეკა კვესიტაძემ გამოაქვეყნა ის ნომერი (+372 816 520 97), რომლითაც მას მინდია გორაძე დაუკავშირდა.

„განსხვავებულ აქცენტების" სპეციალური გამოშვება[5] საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კანონიერი ქურდების მფარველობას შეეხებოდა, სადაც მინდია გორაძე იყო მოხსენიებული.

25 თებერვალს გავრცელებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე 151-ე მუქარის მუხლით აღიძრა და საკითხს შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კრიმინალური ავტორიტეტების ბრძოლის განყოფილება იძიებდა. თავად ჟურნალისტის განცხადებით, გამოძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

აზერბაიჯანულენოვანი გამოცემა „რენესანსის" ჟურნალისტების მიმართ მუქარა

ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრმა 23 ივნისს გაავრცელა ინფორმაცია[6] იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანულენოვან გამოცემა renessans.ge-ს კარიკატურის გამოქვეყნების გამო სიკვდილით ემუქრებოდნენ.

აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, მუქარას მარნეულის იმამ ალის სახელობის საქველმოქმედო ფონდის თავჯდომარე ჯავიდ გურბანოვი ახორციელებდა, რომელმაც ჟურნალისტებს აიდა ტაგიევას, აიდან იუსიბოვას და რედაქტორს ნუგზარ ჯაფაროვს შემდეგი შინაარსის მუქარის შეტყობინებები გაუგზავნა: „თუ ამ კარიკატურას არ წაშლით, თუ ამ შეურაცხყოფას გააგრძელებთ, ალაჰს ვფიცავ, რომ თქვენი სისხლი დაიღვრება. ვფიცავ იმ ღმერთს, რომლისაც არ გწამს, ჩემი ხელებით წაგაცლი თავს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სისხლი უფრო ძვირფასია, ვიდრე თქვენი კალმის მელანი".

---

[5] http://rustavi2.com/ka/video/74?v=2
[6] http://ick.ge/articles/22461-i.html

renessans.ge-ს ჟურნალისტის, აიდა ტაგიევას განმარტებით, მათ გამოაქვეყნეს კარიკატურა, რომელზეც ასახულია გალია, რომელიც გაარღვიეს ჟურნალისტებმა და წიგნებით ხელში გარეთ გამოვიდნენ. ჟურნალისტის ინფორმაციით, აღნიშნულ კარიკატურა გარკვეულმა პირებმა მეჩეთად აღიქვეს, რაც მუქარის საფუძველი გახდა.

renessans.ge-ს ჟურნალისტებმა მათ მიმართ განხორციელებული მუქარის დამადასტურებელი წერილები მიაწოდეს როგორც მედია საშუალებებს, ასევე შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. „რენესანსის" ჟურნალისტებმა პოლიციას დახმარებისთვის 2015 წლის ივნისის თვეში მიმართეს, რაზეც მოკვლევა ისანი-სამგორის განყოფილებაში მიმდინარეობდა. თუმცა, როგორც აიდა ტაგიევამ ჩვენთან განაცხადა, მოკვლევას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

მაესტროს ჟურნალისტის ირაკლი ვაჩიბერაძის მიმართ მუქარა

ტელეკომპანია „მაესტროს" რეპორტიორის ირაკლი ვაჩიბერაძის განცხადებით, მის მიერ ირაკლი ღარიბაშვილისთვის დასმული შეკითხვის გამო, შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა კობა ცერცვაძემ ის „გვერდზე გაიყვანა" და ახსნა-განმარტებები მოსთხოვა.

ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვა 2015 წლის 15 სექტემბერს, პრემიერ-მინისტრის ოზურგეთში სტუმრობის დროს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების დავით მჟავანაძისა და ილია მალაზონიას და ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის" წევრის ბესო ქათამაძის დაკავებას შეეხებოდა. აღნიშნულმა პირებმა ქალაქის ერთ-ერთი კორპუსის ფასადზე გადმოფინეს ნაჭრის ბანერი, წარწერით „მატყუარა მთავრობა". მთავრობისადმი კრიტიკული შინაარსის ბანერის გამოკვრისთანავე აღნიშნული პირები მომენტალურად დააკავეს. დაკავებულთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეადგინეს, რაც ისეთ ქმედებებს შეეხება, როგორიცაა ,სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი".

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჟურნალისტთან დაკავშირებულ ინციდენტზე განცხადება გაავრცელა, რომელშიც გამოთქვა მზადყოფნა, სამინისტროს გენერალური ინსპექციას „მაესტროს" ჟურნალისტის განცხადების საფუძველზე მოკვლევა დაეწყო და სამართალდარღვევის შემთხვევაში, რეაგირება მოეხდინა.

6.3 ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელისშეშლა

ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელისშეშლის 3 შემთხვევიდან მყისიერი რეაგირება მხოლოდ იმ ფაქტს მოჰყვა, რომელიც ოპოზიციური პარტიის აქციას უკავშირდებოდა, ხოლო დარ-

ჩენილ 2 შემთხვევაში, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებას შეეხებოდა, მოკვლევის შედეგად ვინმეს მიმართ დანაშაულის ნიშნები არ გამოკვეთილა.

IPN-ის ფოტოკორესპონდენტს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს

2015 წლის 4 მარტს, ვარდების მოედანზე გამართულ აქციაზე, სახელწოდებით „შემოულაწუნე", რომლის ორგანიზატორი სამი პოლიტიკური პარტია – „რეფორმატორები", „თავისუფალი საქართველო" და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" – იყო, საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსის ფოტორეპორტიორს ირაკლი გედენიძეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ცემის შედეგად ირაკლი გედენიძემ დაზიანებები მიიღო და მისი ჰოსპიტალიზაცია მოხდა, დაზიანდა ასევე მისი ფოტოკამერა.

ირაკლი გედენიძის ინფორმაციით, მანქანიდან გადმოსული პირი მისგან გადაღებული მასალის წაშლას მოითხოვდა, რაზეც მან უარი განაცხადა და განმარტა, რომ იყო ჟურნალისტი და ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას. აღნიშნულის შემდგომ, ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლისა და ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით (საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), ინციდენტიდან რამდენიმე საათში შსს-ს ცნობით, პოლიციამ ივანე ბეგიაშვილი დააკავა.

აღნიშნული ინციდენტის გამო, პარტიამ „თავისუფალი საქართველო" თავისი რიგებიდან გარიცხა გიორგი ბეგიაშვილი, რომელმაც პარტიის თავმჯდომარე კახა კუკავას განცხადებით, თავისი შვილი ივანე ბეგიაშვილი დროულად არ შეაჩერა და მხოლოდ ვერბალურ დაპირისპირებაში მონაწილეობდა[7].

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლა

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით[8], 2015 წლის 1 სექტემბერს „ახალი ამბების" ჯგუფსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს შორის ინციდენტი მოხდა.

რედაქციის ცნობით, ქედის მუნიციპალიტეტში ღვინის ქარხნის ეზოში კორესპონდენტს ლაშა ველიაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მას შემდეგ მიაყენეს, რაც ის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტ კარლო კეკელიძეს ინტერვიუს უთანხმებდა. ამ დროს მათთან მივიდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელი მირზა სუქნიშვილი, რომელმაც რეპორტიორს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ინციდენტის დროს ჟურნალისტს ასევე შეეხნენ ფიზიკურად. ამ დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები როსტომ შერვაშიძე და ავთანდილ მესხიძე.

[7] http://netgazeti.ge/news/39120/

[8] აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2 სექტემბერი, 2015 http://ajaratv.ge/acharis-televiziam-prokuraturas-mimarta

მირზა სუქნიშვილის თქმით, ამ დროს ჟურნალისტი იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, რაც უარყო მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა შორენა ღლონტმა და აღნიშნა, რომ შემთხვევის დღესვე რეპორტიორსა და ოპერატორს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ექსპერტიზა ჩაუტარეს და არც ერთ მათგანს ალკოჰოლური ნივთირების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა არ დაუდგინდა. ტელევიზიამ პროკურატურას მომხდარის გამოძიების თხოვნით მიმართა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით, დისციპლინური კომისიის მოკვლევის დასრულებამდე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ავთანდილ მესხიძეს უფლებამოსილება შეუჩერდა.

შსს-ს ცნობით, ვინაიდან დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა, ლაშა ველიაძის საქმეზე ძიება შეწყდა, მინისტრის მოადგილეს კი უფლებამოსილება აღუდგა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს შეფასებით, „ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები ჟურნალისტებთან არასათანადოდ და კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ იქცევიან. 2013 წლის დეკემბერში 25-ე არხის („ტელეარხი 25“) მაშინდელმა რეპორტიორმა სულხან მესხიძემ მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე მის მიმართ განხორციელებულ მუქარაში დაადანაშაულა. ტელევიზიის მიერ ამ ფაქტის გაშუქებას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია არც თავად მესხიძის უწყების და არც საგამოძიებო სტრუქტურების მხრიდან“.

ლანჩხუთში საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ რუსთავი 2-ის კორესპონდენტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლა

ტელეკომპანია რუსთავი 2-მა 2015 წლის 21 ოქტომბერს გაავრცელა კადრები[9], რომელზეც ასახულია, როგორ არ აძლევს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექსერვისის თანამშრომელი ნუგზარ ცინცაძე ტელეკომპანიის რეგიონულ კორესპონდენტს ლადო მენაბდეს საჯარო სივრცეში გადაღების უფლებას და მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. საჯარო სამსახურის თანამშრომელი ჟურნალისტს „ხალხის მტერს“, „სექტანტს“ უწოდებს და მას გინებით მიმართავს. ცინცაძემ, რომელიც ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე იმყოფებოდა, რუსთავი 2-ის ჟურნალისტს განუცხადა, რომ მას ლანჩხუთში მუშაობა ეკრძალებოდა და რომ ტელეკომპანია ობიექტური არ იყო.

ეს არ არის ლადო მენდაბდისთვის მისი პროფესიული საქმიანობისთვის ხელისშეშლის პირველი შემთხვევა, რის გამოც ადრე მან პოლიციასა და პროკურატურას არაერთხელ მიმართა.

ნუგზარ ცინცაძის მხრიდან ლადო მენაბდის და რუსთავი 2-ის ოპერატორის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას ერთი წლის წინათაც ჰქონდა ადგილი. ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული კადრების[10] თანახმად, 2014 წლის 8 დეკემბერს ცინცაძე, რომელიც იმ დროს „ქართული ოცნების“ ერთ-ერ-

[9] http://www.myvideo.ge/v/2667507

[10] http://news.ge/ge/news/story/115766-qartuli-otsnebis-aqtivistma-nugzar-tsintsadzem-rustavi-2-is-zhurnalists-da-operators-sheuratskhyofa-miayena

თი აქტივისტი იყო, ოპერატორს გადაღების საშუალებას არ აძლევდა. ჟურნალისტს და ოპერატორს ლანჩხუთში განმეორებით ჩასვლის შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. შემთხვევა ბოლნისის „სიონისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ საფეხბურთო გუნდების მატჩის შემდეგ მოხდა.

ლადო მენაბდის განცხადებით, საქმე მოკვლევის ეტაპს არ გასცდენია, რამდენიმე თვის წინ მან სამართალდამცავებს ჩვენება მისცა, თუმცა მოკვლევის შედეგები და საქმის შემდგომი მსვლელობა მისთვის უცნობია.

MDF-მა აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ინფორმაცია ლანჩხუთის შსს რაიონული სამმართველოდან გამოითხოვა. საპასუხო წერილში უწყებამ გვაცნობა, რომ სისიხლის სამართლის საქმე არა ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის ფაქტზე იყო აღძრული, არამედ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის კარების დაზიანებაზე სსკ-ის 187 მუხლის პირველი ნაწილით. შსს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის ლევან ჩხაიძის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ვინმეს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობს.

2015 წელს მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით საინფორმაციო ცენტრების ქსელმა 28 ოქტომბერს განცხადება[11] გაავრცელა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურას აღნიშნულ ფაქტზე ადეკვატური რეაგირებისკენ მოუწოდა.

6.4. უკანონო დაკავება

უკანონო დაკავების სამივე საქმე ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედია საშუალების – „ტაბულას“ თანამშრომლებს უკავშირდებოდა. აქედან 2 შემთხვევა უშუალოდ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან არ იყო დაკავშირებული და დაკავებულთა სამოქალაქო პროტესტს და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას შეეხებოდა ხელისუფლებისადმი კრიტიკულ თემებზე (გაზპრომი და “Stop Russia”). მესამე შემთხვევაში “ტაბულას ფოტოკორესპონდენტი პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, აქცია კი ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ „პანორამა თბილისის“ მშენებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ტაბულას ფოტოგრაფის ალექსანდრე გიორგაძის დაკავება

19 ივლისს ვებ-პორტალ „ტაბულას“ ფოტოგრაფი ალექსანდრე გიორგაძე პანორამა თბილისის საწინააღმდეგო აქციაზე წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის საფუძვლით დააკავეს.

[11] http://www.ick.ge/rubrics/society/24306-i.html

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კანცელარიის წინ მიმდინარე აქციაზე „არა პანორამა თბილისს“ სულ ათი მოქალაქე დააკავეს. უწყების ცნობით, აქციის დანარჩენი 9 მონაწილე, წვრილმანი ხულიგნობისთვის არის დაკავებული, მათ შორის ერთი კი – დამატებით, 45-ე მუხლით, რაც მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებას გულისხმობს ექიმის დანიშნულების გარეშე.

ალექსანდრე გიორგაძე ერთი წლის წინ, 2014 წელს 19 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახლთან გამართული საპროტესტო აქციის დროსაც დააკავეს.

„ტაბულას“ რედაქტორის და პროდიუსერის ქუჩაში პლაკატის გაკვრის გამო დაკავება

2015 წლის 16 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე ტელეკომპანია „ტაბულას“ დირექტორი თამარ ჩერგოლეიშვილი, ტელეკომპანიის გენერალური პროდიუსერი, ლექსო მაჭავარიანი და სტუდენტი სალომე ხვადაგიანი დააკავეს. დაკავების მიზეზი მათ მიერ გაზპრომის საწინააღმდეგო კამპანიისთვის „დაეხმარე საქართველოს – დაიცავი თავისუფლება“ სამშენებლო ღობეზე და გარე განათების ბოძზე პლაკატების გაკვრა გახდა.

პლაკატზე გამოსახული იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და „გაზპრომის“ კარიკატურები. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ღობეზე სხვა შინაარსის პლაკატებიც იყო გაკრული.

სამართალდამცავებმა სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სამართალდარღვევის ოქმი შეადგინეს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სამართალდარღვევას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება, „სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი“.

მოგვიანებით დაკავებულები ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულები სამართალდამრღვევებად ცნო.

სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის შეფასებით, კარიკატურის გაკვრისთვის აღნიშნული პირების დაკავებით გაუმართლებლად შეიზღუდა გამოხატვის თავისუფლება.

“Stop Russia”-ს აქციაზე ტაბულას პროდიუსერის დაკავება

2015 წლის 18 ივლისს, მთავრობის კანცელარიასთან დაგეგმილ აქციაზე “Stop Russia” ტელეკომპანია „ტაბულას“ პროდიუსერი ლექსო მაჭავარიანი დააკავეს. „დაკავების საფუძველი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები გახდა, რაც წვრილმან ხულიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

„ტაბულას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლექსო მაჭავარიანსა და აქციის სხვა ორგანიზატორებს აქციის ჩატარების ადგილიდან მანქანის გაყვანას თხოვდნენ, რომელიც აქციისთვის საჭირო აპარატურით იყო დატვირთული. გავრცელებული კადრებიდან ირკვევა, რომ ლექსო მაჭავარიანისთვის დაკავების დროს არ განუმარტავთ მისი დაკავების სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლექსო მაჭავარიანის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა.

სახალხო დამცველმა, 2015 წლის 22 ივლისს გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები სხდომაზე წვრილმანი ხულიგნობის დასასაბუთებლად მიუთითებდნენ ლექსო მაჭავარიანის სიტყვებს „სამარცხვინო პოლიცია“. სახალხო დამცველის შეფასებით, პოლიციამ განხორციელებული ქმედებით უკიდურესად დაავიწროვა სიტყვის თავისუფლების ფარგლები.

6.5. ჟურნალისტების მოწმის სტატუსით დაბარება

მოწმის სახით ჟურნალისტების პროკურატურაში დაბარება მაღალი საჯარო ინტერესესის თემების გაშუქებას და ერთიდაიმავე ტელეკომპანიას – რუსთავი 2-ს უკავშირდებოდა. ერთი სიუჟეტი კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით იყო მომზადებული, მეორე – პრესკონფერენციაზე საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას შეეხებოდა, რომელიც სხვა მედიებთან ერთად რუსთავი 2-მაც გააშუქა, თუმცა მოწმის სახით მხოლოდ აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელი დაიბარეს.

რუსთავი 2-ის ჟურნალისტის დავით ქაშიაშვილის მოწმის სახით დაბარება ანანონიმურ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ სიუჟეტთან დაკავშირებით

17 დეკემბერს პროკურატურაში მოწმის სტატუსით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტი დავით ქაშიაშვილი დაიბარეს. გამოძიება 16 დეკემბერს „კურიერის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული, მის მიერ მომზადებული სიუჟეტით[12] დაინტერესდა, რომელშიც ანონიმური წყარო – ქალთა კოლონიის ყოფილი თანამშრომელი – ციხის უფროსის კაბინეტში პარლამენტის წევრების ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის პატიმრებთან შეხვედრაზე და ერთ-ერთ პატიმართან დეპუტატების კორუფციულ გარიგებაზე საუბრობდა. „კურიერის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაცია თანხვედრაში იყო საკრებულოს წევრის ელიკო ელისაშვილის მიერ ადრე გაკეთებულ განცხადებებთან შეწყალების საქმეში მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კორუფციაში მხილების შესახებ.

ჟურნალისტმა დავით ქაშიაშვილმა წყაროს არგამჟღავნების უფლებით ისარგებლა, გამომძიებლის კითხვებს პასუხი არ გასცა და ჩვენების მიცემაზე უარი თქვა.

[12] კურიერი, რუსთავი 2, 16 დეკემბერი, 2015. http://rustavi2.com/ka/news/34421

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-11 (1) მუხლის მიხედვით, პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლო დავისას მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება. კანონის 11(2) მუხლის თანახმად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელა დაუშვებელია თავად ამ ინფორმაციის წყაროს ან სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე კანონით დაშვებულ შემთხვევებში.

რუსთავი 2-ის ჟურნალისტის ნათია ტრაპაიძის მოწმის სტატუსით დაბარება პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით

17 დეკემბერს დაკითხვაზე დაიბარეს კურიერის კიდევ ერთი ჟურნალისტი ნათია ტრაპაიძე. ამ შემთხვევაში გამოძიებას შეკითხვები პრესკონფერენციაზე საჯაროდ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით ჰქონდა. კერძოდ, ჟურნალისტმა გააშუქა კორტების საქმეზე მსჯავრდებული ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის ოჯახის წევრების პრესკონფერენცია[13], რომელზეც მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. გამოძიებას აინტერესებდა, რა ინფორმაციას ფლობდა ჟურნალისტი ფირცხალავა-ცააძის ოჯახის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებების შესახებ. აღნიშნული პრესკონფერენცია სხვა მედია საშუალებებმაც გააშუქეს, თუმცა როგორც ცნობილია, პროკურატურაში მხოლოდ რუსთავი 2-ის კორესპონდენტი დაიბარეს. ჟურნალისტი საგამოძიებო ორგანოში მივიდა, თუმცა დუმილის უფლებით ისარგებლა და ჩვენება არ მისცა. აღსანიშნავია, რომ საჯაროდ გაკეთებულ ბრალდებასთან დაკავშირებით პროკურატურას მოწმის სახით ჩვენების მისაცემად თავად ბრალდების ავტორები ფირცხალავა-ცააძის ოჯახის წევრები ჰყავდა 14 დეკემბერს დაკითხვაზე დაბარებული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, ჟურნალისტი არ არის ვალდებული, იყოს მოწმე პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

6.6. ჩვენების შეცვლის იძულება

ერთ შემთხვევაზე, რომელიც შეეხება ჟურნალისტის იძულებას შეეცვალა ჩვენება, გამოძიება მიმდინარეობს.

აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტის იძულება ჩვენების შეცვლის შესახებ

2015 წლის 30 სექტემბერს, ქობულეთში აჭარის ტელევიზიის ქობულეთის ბიუროს ავტომანქანა გაიტაცეს. ჟურნალისტმა ნინო ინაიშვილმა ამ ფაქტზე პოლიციას ჩვენება მისცა, რის შემდეგაც, მისი

[13] კურიერი, რუსთავი 2, 9 დეკემბერი, 2015 http://rustavi2.com/ka/news/33818

თქმით, სამმართველოს ეზოში მას ქობულეთის პოლიციის უფროსი – ზაქარია გურჩიანი დახვდა და ჩვენების შეცვლა სთხოვა. გაზეთ „ბათუმელების“ ცნობით, სავარაუდო გამტაცებელი ქობულეთის გამგებლის მოადგილის, რატი მეგრელიძის ნათესავია.

ჟურნალისტმა ნინო ინაიშვილმა გაავრცელა ფარული ჩანაწერი, სადაც ზაქარია გურჩიანი ჩვენების შეცვლაზე მის დაყოლიებას ცდილობს. მოწმეზე დაზარალებულზე ცრუ ჩვენების მიცემისთვის ზემოქმედება სსკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

შს სამინისტროს ინფომრაციით, ქობულეთის პოლიციის უფროსის ზაქარია გურჩიანის საქმეს პროკურატურა იძიებს.

6.7. საჯარო შეხვედრების შეზღუდვა

რუსთავი 2-ის კონცერტების ხელისშეშლის მცდელობები

2015 წლის ზაფხულში სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-მა აქციის ფარგლებში „რუსთავი 2 შენთვის“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გასართობი კონცერტების გამართვა დაანონსა. ამ მხრივ რამდენიმე ქალაქში კონცერტის ორგანიზატორებს პრობლემები შეექმნათ, რამაც კონცერტების ჩატარების მიზანმიმართული დაბრკოლების ეჭვი გააჩინა.

ქუთაისის მერიამ სიტყვიერი თანხმობის შემდეგ, კონცერტამდე ერთი დღით ადრე „რუსთავი 2-ს“ ოფიციალური წერილი მისწერა, რომელშიც ღონისძიების ჩატარებაზე უარი ქალაქის ქუჩებში სარეაბილიტაციო სამუშაოებით დაასაბუთა. თუმცა, მოგვიანებით ქუთაისში კონცერტი მაინც ჩატარდა.

იდენტური დაბრკოლებები შეექმნა ტელეკომპანიას ფოთსა და ბათუმში, სადაც უარის თქმის მიზეზად სხვა ალტერნატიული ღონისძიების ჩატარება დასახელდა. ტელეკომპანიას ბათუმში კონცერტი 1 აგვისტოს, ხოლო ფოთში 2 აგვისტოს ჰქონდა დაანონსებული. რუსთავი 2-მა 28 ივლისს მიიღო ფოთის მერიის პასუხი, რომელშიც ტელეკომპანიას ქალაქის ცენტრში კონცერტის ჩატარებაზე უარი იმის გამო ეთქვა, რომ ქალაქის ცენტეში ფოთელი ახალგაზრდებისადმი მიძღვნილი კონცერტი უნდა გამართულიყო. რუსთავი 2-ის წარმომადგენლები შესაძლო მიზანმიმართულ კამპანიაზე საუბრობდნენ. მათი თქმით, ფოთის მერიის გეგმების შესახებ ადგილობრივი ტელევიზიით ანონსი არ გასულა და შესაბამისად, ახალგაზრდების კონცერტის შესახებ მოსახლეობა ინფორმირებული არ ყოფილა, განსხვავებით რუსთავი2-ის კონცერტისგან, რომელიც დიდი ხნით ადრე იყო დაანონსებული.

ქალაქ ბათუმში უარის მიზეზად ასევე სხვა დაგეგმილი ღონისძიებები დასახელდა. შესაბამისად ტელეკომპანიამ დაგეგმილი კონცერტები ფოთსა და ბათუმში მოგვიანებით ჩაატარა.

კონცერტების ჩატარება სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის შემდეგ გახდა შესაძლებელი. განცხადება[14] ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებთან დაკავშირებით მედია ადვოკატირების კოალიციამ გაავრცელა.

6.8. FACEBOOK-ის დაბლოკვა

„13 ივნისის მოხალისეთა გაერთიანების“ ჯგუფის დაბლოკვა

2015 წლის ივნისში გავრცელებული ინფორმაციით, Facebook ჯგუფის „13 ივნისის მოხალისეთა გაერთიანების“ ყველა ადმინისტრატორის პირადი გვერდი ერთდროულად დაიბლოკა, რამაც ჯგუფის გაუქმება გამოიწვია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქმეს იძიებს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის საფუძველზე, რაც კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას გულისხმობს. შსს-ს ცნობით, გამოძიება გრძელდება და კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე დაწყებული არ არის.

[14] მედია ადვოკატირების კოალიციის განცხადება, http://www.media.ge/ge/portal/news/303714/

7 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საერთაშორისო გეგმის გამოხატვის თავისუფლების თავის შესრულების მონიტორინგი

2014 წლის 30 აპრილს, პარლამენტის დადგენილებით „2014-2020 წლებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“[1] დამტკიცდა. სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად კი 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით[2], საქართველოს მთავრობამ „2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“[3] მიიღო. ამავე დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და მის შემადგენლობაში აღმასრულებელი ხელისუფლებიდან 23 წევრი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით მიწვეული საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი არასამათავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები (15 წევრი) შედიან.

საბჭო, რომლის უმრავლესობას მთავრობაში შემავალი სამინისტროები წარმოადგენენ, კოორიდნაციას უწევს სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და ამავე დროს ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის და პრემიერ-მინისტრის წინაშე. სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშს საბჭო წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს 15 მარტისა, საქართველოს მთავრობას, ხოლო არა უგვიანეს 31 მარტისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს. საბჭოს საქმიანობას უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო.

„მედიის განვითარების ფონდმა“ სამოქმედო გეგმის მეცხრე თავის (გამოხატვის თავისუფლების უზრუნველოყოფა) შესრულების მონიტორინგი განახორციელა, რომელიც თავის მხრივ სამ ამოცანას მოიცავს:

9.1 ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია;

9.2. გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული საკანონმდებლო ბუნდოვანებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;

9.3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

---

1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314

2 http://bit.ly/1SboHX0

3 http://yourhumanrights.ge/temp/

მონიტორინგის განხორციელება მიზნად ისახავს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტების ანალიზი მოიცავდა მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის შესწავლასაც, რომელიც 2014 წლის პერიოდს ასახავს და საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 2 ივნისის განკარგულებით მოიწონა[4], ასევე სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ[5]. ინფორმაციის გადამოწმების და დაზუსტების მიზნით, მოხდა ასევე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი უწყებებიდან.

ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების შესწავლა სამოქმედო გეგმაში მითითებული ორი ინდიკატორის – სახალხო დამცველის ანგარიშისა და სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკის საფუძველზე განხორციელდა. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ორი ინდიკატორის გარდა, კვლევაში მესამე ინდიკატორად გამოყენებულია მედიაში გაშუქებული ცალკეული ინციდენტები, რაც ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელისშეშლის ფაქტებს ასახავს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამოძიების დაწყების საფუძველია. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, გამოძიება შესაძლებელია დაიწყოს გამომძიებლისთვის ან პროკურორისთვის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, მედიაში გამოქვეყნებული მასალის, ასევე სისხლის სამართლის პროცესის დროს გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე. სამი ინდიკატორის კორელაცია მიზნად ისახავს ისეთი შემთხვევების გამოვლენას, რომლებზეც სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირება არ მოუხდენიათ.

1. ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია

სამთავრობო სამოქმედო გეგმის მეცხრე თავის პირველი ამოცანა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთასა და პრევენციას ითვალისწინებს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია სამი აქტივობა:

9.1.1. საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება;

9.1.2. პროკურატურის ორგანოების მიერ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაცია;

---

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2871136

[5] ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2014. სახალხო დამცველის ანგარიში. http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf გვ. 466.

9.1.3. საგამოძიებო ორგანოების მიერ სპეციალური სტატისტიკის წარმოება, რომელიც ასახავს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე რეგისტრირებულ დანაშაულთა და მისი გახსნის მაჩვენებელს.

სამოქმედო გეგმის თანახმად, ამ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები საქართველოს მთავარი პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო არიან; ხოლო აქტივობების შესრულების ინდიკატორებად მითითებულია სახალხო დამცველის ანგარიშები და სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი სტატისტიკის წარმოება.

ქვემოთ განხილულია თითოეული აქტივობა მონიტორინგის მეთოდოლოგიაში მითითებული სამი ინდიკატორის მიხედვით: 1) სახალხო დამცველის ანგარიშები; 2) სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი სტატისტიკის წარმოება და 3) მედიაში გავრცელებული ცნობები ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის შესახებ. ანგარიშში პირველ რიგში განხილულია მე-3 აქტივობა, რაც სპეციალური სტატისტიკის წარმოებას ანუ ინციდენტების სრულფასოვან აღრიცხვიანობას შეეხება, რომლის შეფასების გარეშეც, პირველი და მეორე აქტივობების ანალიზი რთული იქნებოდა. შემდეგში კი განხილულია პირველი და მეორე აქტივობების შესრულება.

1.1. სპეციალური სტატისტიკის წარმოება

მე-9 თავის მესამე აქტივობა საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე სპეციალური სტატისტიკის წარმოებას ითვალისწინებს, რაც როგორც რეგისტრირებულ დანაშაულს, ასევე მისი გახსნის მაჩვენებელს უნდა მოიცავდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული, რომ ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიაანობის ხელის შეშლა, მხოლოდ კანონმდებლობის ერთი მუხლის, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის საფუძველზე გამოვლენილ ფაქტებს გულისხმობს, 2014 წლის შუალედურ ანგარიშში მხოლოდ ამ მუხლის საფუძველზე აღძრული საქმეებია შესული. ამგვარი მიდგომით სამართალდამცავი ორგანოები და უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ვიწროდ განმარტავენ „ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის“ ცნებას და ამ კატეგორიაში მხოლოდ ამავე სახელწოდების სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლს მოიაზრებენ[6]. მაშინ როდესაც სახალხო დამცველის ანგარიშის „ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულთა გამოძიების შესახებ“ თავში მოყვანილი საქმეები სისხლის სამართლის კოდექსის 239, 125, 156, 151, 353-ე მუხლების დანაშაულის ნიშნებს შეეხება. საბჭოს ასეთი მიდგომა კონცეფტუალურად არასწორია, რადგან ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში ხელი როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ასევე ფარული მიყურადების, და-

[6] 1. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

შანტაჟების, მუქარისა და სხვა ფორმებით შესაძლოა შეეშალოთ. ანგარიშში შეყვანილი მონაცემები კი სრულ სურათს ვერ ქმნის და შესაბამისად, სამართალდამცავების მიერ სტატისტიკის წარმოება არასრულყოფილია.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშში, რომელიც 2014 წლის პერიოდს მოიცავს, გამოხატვის თავისუფლების თავის შესრულების ნაწილში მითითებულია სამი საქმე, რომელზეც 2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გამოძიება დაიწყო. ამ საქმეების გამოძიების შედეგად ორ საქმეზე გამოვლინდა დანაშაულის ჩამდენი სამი პირი, რომელთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა. სამთავრობო ანგარიშის პარალელურად ადამიანის უფლებების შესახებ სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშის შესწავლამ და მედიის განვითარების ფონდის მედია მონიტორინგმა, რომელიც ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის სავარაუდო დანაშაულის გამოვლენას ისახავდა მიზნად, აჩვენა შეუსაბამობა ამ სამ ინდიკატორს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია ის საქმეები, რომლებიც სამივე ინდიკატორის საფუძველზე გამოვლინდა. მედია მონიტორინგის ნაწილში არ არის მითითებული ის საქმეები, რომლებიც საქართველოს მთავრობის ან სახალხო დამცველის ანგარიშებში აისახა:

ცხრილი 1. 2014 წელს ჟურნალისთა პროფესიული საქმიანობის ხელისშეშლის ფაქტების სტატისტიკა 3 ინდიკატორის მიხედვით

	მედიაში გავრცელებული ფაქტები	2014 წლის მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში	2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიში
1	ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ოფისში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენა. *6 მაისი, 2014 წელი*	ჟურნალისტ ია ბოჯგუასთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა *12 ივნისი, 2014 წელი*	„თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლების მიერ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. *30 სექტემბერი, 22ოქტომბერი, 2014 წელი*
2	მომღერალ გრიგორი ლეპსის დაცვის წევრებისა და პროდიუსერის მიერ „მაესტროს“ ჟურნალისტ ნინი მეტრეველისთვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი. *7 დეკემბერი, 2014 წელი*	ახმეტის რაიონული შსს სამმართველოს მიერ კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტის გელა მთივლიშვილისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაწყებული და შეწყვეტილი გამოძიება. *10-31ივლისი, 2014 წელი*	სტუდია „ანატომიის“ ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილის განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის ზვიად ჯანყარაშვილის მხრიდან მის მიმართ სიტყვიერი მუქარის შესახებ. *23 სექტემბერი, 2014 წელი*
3	„სამხრეთ კარიბჭის“ ჟურნალისტ თამუნა უჩიძის მიმართ შსს-ს თანამშრომლების მიერ განხორციელებული მუქარა. *დეკემბერი, 2014 წელი*	ზუგდიდის შსს რაიონული სამართველოს მიერ დაწყებული გამოძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეგრელო-ზემო სვანეთის კორესპონდენტის ნატო ბერულავას პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტი. *2 სექტემბერი, 2014 წელი*	ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის მიმართ აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ყოფილი თავჯდომარის მედეა ვასაძის მიერ განხორციელებული მუქარა. *ივნისი, 2014 წელი*

4	პრემიერ-მინისტრის სახლის წინ საპროტესტო აქციაზე „ტაბულას“ ფოტოგრაფ ალექსანდრე გიორგაძის დაკავება *19 ოქტომბერი, 2014 წელი*		
5	საპატრულო პოლიციის რეიდის დროს პოლიციის მიერ „ტაბულას“ ჟურნალისტის გიორგი სიხარულიძის მანქანიდან ჩამოსმა, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და გადაღებული მასალის მობილური ტელეფონიდან წაშლა . *24 აგვისტო, 2014 წელი*		
6	პოლიციის რეიდის დროს media.ge-ის ჟურნალისტის ნატა ძველიშვილისა და მისი თანმხლები პირისთვის პოლიციის მიერ გადაღებული ვიდეოკადრების წაშლა, 1 პირის დაკავება. *7 სექტემბერი, 2014 წელი*		
7	ბათუმის „ტელეარხი 25“-ის დამფუძნებლების ჯემალ ვერძაძისა და გიორგი სირმანიძის ქონების დაყადაღება და პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ზეწოლა აღიარებითი ჩვენების შესახებ. *დეკემბერი, 2013 წელი; იანვარი, 2014 წელი*		
8	ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადება მისი ელექტრონული ფოსტისა და სკაიპის გატეხვის შესახებ. *17 ოქტომბერი, 2014 წელი*		
9	ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე Droanews.ge-ის ჟურნალისტებს ქართული ოცნების მაჟორიტარმა დეპუტატმა ია მაკასარაშვილმა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაღების უფლება არ მისცა. *15 ივნისი, 2014 წელი*		
10	ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ზუგდიდში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის ირაკლი გოგოხიას სააარჩევნო შტაბში tspress.ge-ის ჟურნალისტის მერაბ როდონაიასთვის პროფესიული საქმიანობის ხელისშეშლა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. *13 ივნისი, 2014 წელი*	tspress.ge-ის ჟურნალისტის მერაბ როდონაიას საქმე მთავრობის 2014 წლის ანგარიშში შეტანილი არ არის, თუმცა მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს.	

როგორც ზემოთმოცემულ ცხრილში ჩანს, სამთავრობო გეგმის შუალედურ ანგარიშში მოყვანილი 3 საქმე არ ემთხვევა სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში მოცემულ 3 საქმეს, მათ შორის ისეთებს, რომლებზეც სამართალდამცავებმა რეაგირება მოახდინეს. კერძოდ, სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში შესულია შემდეგი საქმეები:

1. 2014 წლის 30 სექტემბერსა და 22 ოქტომბერს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას მიმართ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს ჰქონდა ადგილი. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილითა[7] და 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით[8] გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით დაიწყო. ოქტომბრის ინციდენტთან დაკავშირებით კი გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით[9] დაიწყო, ხოლო 2014 წლის 24 ოქტომბერს ა.კ.-ს ბრალი სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით[10] გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში წარედგინა.
2. 2014 წლის 23 სექტემბერს სტუდია „ანატომია“-ს ჟურნალისტმა ნათია მიქიაშვილმა გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი ზვიად ჯანყარაშვილი, სიუჟეტის მომზადებისას, მას სიტყვიერად ემუქრებოდა, ხოლო მისი მეუღლე აიძულეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახური დაეტოვებინა. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დაიწყო. ამ გამოძიების შედეგთან დაკავშირებით მთავრობის ადამიანის უფლებათა შუალედურ ანგარიშში ინფორმაცია არ მოიპოვება.
3. რეგიონული მაუწყებლის ტელეარხ 25-ის ჟურნალისტმა ჯაბა ანანიძემ 2014 წლის 9 ივნისს გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიერ მომზადებულ ჟურნალისტურ გამოძიებას „უმაღლესი კომფორტით“ აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ყოფილი თავჯდომარის მედეა ვასაძის მხრიდან მუქარა მოჰყვა. ჟურნალისტმა გაავრცელა სატელეფონო ჩანაწერი, რომლის თანხმად, იმ დროს მმართველი პარტიის წარმომადგენელი მას ემუქრებოდა და მის სექსუალურ ორიენტაციაზე აკეთებდა მინიშნებებს. აღნიშნული სატელეფონო ჩანაწერის გავრცელებას მედია საშუალებების და არასამთავრობო სექტორის პროტესტი მოჰყვა. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, პროკურატურამ მიიჩნია, რომ ამ საქმეში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.

მთავრობის სამოქმედო გეგმის შუალედურ ანგარიშში, ისევე როგორც სახალხო დამცველის ანგარიშში არ არის შესული სხვა საქმეები, რომლებიც მედია საშუალებებით შუქდებოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლით საგამოძიებო ორგანო ვალდებულია დაიწყოს იმ საქმეების გამოძიება, რომლებიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მედია საშუალებით გახდა ცნობილი. მედიის განვითარების ფონდის მონიტორინგის შედეგად, დამატებით ასეთი 9 შემთხვევა გა-

[7] წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმოამდგენლის მიმართ.

[8] ხულიგნობა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

[9] ცემა.

[10] დევნა ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

მოიკვეთა, რომელთაგან ბევრი რეზონანსული საქმეა, მათ შორის ერთი ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ სატელევიზიო არხის – რუსთავი 2-ის ოფისში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენას შეეხება, ასევე რეგიონული მედიის ჟურნალისტის მიმართ („სამხრეთის კარიბჭე“) პოლიციის მხრიდან განხორციელებულ მუქარას, ფოტოკორესპონდენტის („ტაბულა“) პრემიერ-მინისტრის სახლთან დაკავებას, ჟურნალისტისთვის („მაესტრო“) თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის ფაქტს, ჟურნალისტებისა და მოქალაქე ჟურნალისტებისთვის პოლიციის რეიდების დროს ვიდეოგადაღების შეზღუდვას, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს და სხვა ინციდენტებს.

„მედიის განვითარების ფონდმა“ მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია, დაწყებული იყო თუ არა გამოძიება აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით და რა შედეგი დადგა თითოეულ შემთხვევაში, თუმცა აღნიშნული მონაცემების მოპოვება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე შეუძლებელი აღმოჩნდა. დეტალური ინფორმაცია პროკურატურის გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ინფორმაციის თავისუფლების თავში (იხ. გვ. 42).

აღსანიშნავია, რომ მთავრობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სტატისტიკის წარმოება მოიცავს როგორც ჟურნალისტური საქმიანობის გახსნის მაჩვენებელს, ასევე რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის წარმოებასაც. მთავრობის შუალედურ ანგარიშში არ არის იდენტიფიცირებული დანაშაულის რეგისტრირების სტატისტიკა და არც ინფორმაცია იმის შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის საფუძველზე, მედიაში გამოქვეყნებული ინციდენტებიდან რამდენ ფაქტზე გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები.

„მედიის განვითარების ფონდმა“ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სტატისტიკის მოთხოვნით, რომელიც ჟურნლისტთა პროფესიულ საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებსა და მათი გახსნის მაჩვენებელს ასახავდა, რა დროსაც გამოიკვეთა შეუსაბამობა სამოქმედო გეგმასა და აღნიშნული უწყებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას შორის. კერძოდ: მთავარი პროკურატურისა (23.12.2015) და შინაგან საქმეთა სამინისტროს (27.11.2015) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გამოძიება 3 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო, ამათგან ერთ საქმეზე გამოძიება შეწყდა, 2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არცერთ საქმეზე არ დაწყებულა. განსხვავებული სტატისტიკური მონაცემებია მთავრობის შუალედურ ანგარიშში, რომლის მიხედვით, „2 საქმეზე გამოვლინდა დანაშაულის ჩამდენი 3 პირი, რომელთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვა ამჟამად მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში“.

1.2. სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება, სათანადო კვალიფიკაცია

სამოქმედო გეგმის მე-9 თავი სტატისტიკის წარმოების გარდა ითვალისწინებს 1) საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფ და ეფექტიან გამოძიებას და 2) დანაშაულისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემას.

სამთავრობო გეგმის შუალედურ ანგარიშში შესული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია აღნიშნული აქტივობების სრულფასოვნად შეფასება, რადგან ის არ მოიცავს ინფორმაციას საქმის არსებითი გარემოებების შესახებ, არ არის მითითებული, თუ როდის ჰქონდა ინციდენტს ადგილი და რა ვადებში მოახდინეს შესაბამისმა ორგანოებმა მათზე რეაგირება. ამ მონაცემების გარეშე შეუძლებელია როგორც გამოძიების დროულობისა და ეფექტიანობის, ასევე სათანადო კვალიფიკაციის შეფასება. ვითარებას ართულებს სამართალდამცავი ორგანოების დახურულობა, საიდანაც რთულია ინფორმაციის მოპოვება, რადგან ეს უწყებები არასწორად განმარტავენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედებას სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით.

მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნოსგან მოწოდებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე ამ ვაკუუმის შევსება ნაწილობრივ გახდა შესაძლებელი. კერძოდ, ანგარიშში მითითებული საქმეები შემდეგ ინციდენტებს ეხება:

- 2014 წლის 4 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩხოროწყუს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N071040714005 საქმეზე, ჟურნალისტ ია ბოჯგუასთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე გამოძიება გრძელდება.
- 2014 წლის 10 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონული სამმართველოს დუისის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N017100714001 საქმეზე, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, 2014 წლის 29 აგვისტოს შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მედიით მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საქმე შეეხება 2014 წლის 4 ივლისის ინციდენტს, როდესაც ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატმა ბექა ბაიდაურმა პანკისის ხეობის სოფელ დუისში წინასაარჩევნო შეხვედრა მასზე კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტის დასწრების გამო ჩაშალა. შეხვედრის ჩაშლამდე მან ჟურნალისტს აგრესიულად მიმართა და შეხვედრის დატოვებისკენ მოუწოდა. გამგებლობის კანდიდატის თანმხლებმა პირებმა, სოფელ ომალოს რწმუნებულმა რუსლან ალხანიშვილმა და მისმა ძმამ ბესლან ალხანიშვილმა, ჟურნალისტს თხოვეს ვიდეოგადაღების შეწყვეტა, რის შემდეგაც რუსლან ალხანაშვილმა სცადა ჟურნალისტისათვის კამერის წართმევა. საბოლოოდ გამგებლის მოადგილე მათე ქავთარაშვილმა რამდენიმე სიტყვით მიმართა შეკრებილ მოსახლეობას. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გამგებლის მოადგილემ განაცხადა: „შეკრებილთა შორის არის მოღალატე, რომელმაც შეხვედრის შესახებ ჟურნალისტს შეატყობინა და იქ მიიწვია, მოღალატე კი აუცილებლად დაისჯება.“ ამის შემდეგ კანდიდატის შეხვედრა მოსახლეობასთან აღარ გაგრძელდა[11]. ინციდენტის გამოძიებისკენ სამართალდამცავებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოუწოდა[12].

[11] http://ick.ge/rubrics/politics/18671-i.html

[12] http://ick.ge/rubrics/humanrights/18722-i.html

- 2014 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონული სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N044020914017 საქმეზე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეგრელო-ზემო სვანეთის კორესპონდენტის ნატო ბერულავას პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

სამდივნოდან მოპოვებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქმეების გამოძიება დროში გაჭიანურებულია და შედეგი თითქმის 2 წლიანი გამოძიების შემდეგაც არ არის დამდგარი.

ამასთანავე აღსანიშნავია სელექციური მიდგომა, რომელსაც ერთგვაროვანი საქმეების დროს სამართალდამცავები იჩენენ. კერძოდ, როგორც მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით[13] გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ზუგდიდში „ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატის ირაკლი გოგოხიას საარჩევნო შტაბთან მომხდარ ინციდენტზე, როდესაც tspress.ge-ის ჟურნალისტ მერაბ როდონაიას პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა არ მიეცა. როგორც გავრცელებული ვიდეო კადრებიდან ჩანს, მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, წყალი შეასხსეს და კამერაზე ხელი უკრეს[14]. იდენტურ საქმეს, როცა 2014 წლის 15 ივნისს საინფორმაციო სააგენტო droanews.ge-ის ჟურნალისტებს „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ია მაკასარაშვილმა ვარკეთილის ერთ-ერთ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, საჯარო სივრცეში გადაღების უფლება არ მისცა, სამართლებრივი მსვლელობა არ მოჰყოლია[15]. მომხდართან დაკავშირებით რეაგირებისთვის ნაციონალურმა მოძრაობამ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიას მიმართა.

2. გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული საკანონმდებლო ბუნდოვანებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად სამოქმედო გეგმაში შემდეგი საქმიანობაა გათვალისწინებული: გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში მყოფი კანონმდებლობის ხარვეზების იდენტიფიცირება; მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლის ცნების გადახედვა; ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებებისთვის საჭირო რეკომენდაციების და პროექტების მომზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მთავრობამ მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაცი-

[13] 1. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

[14] Media.ge, 15 ივნისი, 2014: www.media.ge/ge/portal/news/302895/

[15] Media.ge, 15 ივნისი, 2014: www.media.ge/ge/portal/news/302897/

ების მიმართულებით. 2014 წლის შუალედური ანგარიშის თანახმად, ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკთან (EBRD), მაუწყებლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, „კომუნიკაციების ეროვნულ კომისია"-სთან და ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები", რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით მოწონებული იქნა. აღნიშნული გეგმის შესაბამისად 2014 წელს შემუშავდა და 2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" შესაბამისი ცვლილებები შევიდა.

MDF-ის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან 2015 წელთან დაკავშირებით დამატებით გამოთხოვნილი ინფორმაციის თანახმად, საკანონმდებლო ცვლილებები ციფრულ პლატფორმაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად „მაუწყებლობის შესახებ" და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონებში 2015 წელსაც განხორციელდა. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის N214 დადგენილებით კი ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფის წესი დამტკიცდა, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობებით (სეთ-თოფ-ბოქსი) უზრუნველყოფის პრინციპებსა და პროცესში მონაწილე ორგანიზაციების ვალდებულებებს განსაზღვრავს.

3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

2014-2015 წლების ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებას ითვალისწინებს. კანონპროექტის მომზადებისათვის პასუხისმგებელი უწყება საქართველოს იუსტიციის სამინისტროა.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2014-2015) იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტის წარდგენა და პარლამენტში ინიცირება არ მოუხდენია. ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ" ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტზე მუშაობა, იუსიტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით, 2014 წლის იანვარში დაიწყო და კანონპროექტის პირველადი ვერსია იუსიტიციის სამინისტროს 2014 წლის 21 აგვისტოს წარუდგინა. მთავრობის სამოქმედო გეგმის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტზე მუშაობა 2015 წელს უნდა დაესრულებინა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, კანონპროექტზე მუშაობა ანალიტიკური დეპატამენტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებს არ დაუსრულებია და ამჟამად მისი განხილვა ანტიკორუფციულ საბჭოში მიმდინარეობს. ანალიტიკური დეპარტამენტი ვერ აკონკრეტებს, თუ როდის გახდება დოკუმენტი საჯარო და რა ვადაში მოხდება მისი ინიცირება პარლამენტში განსახილველად. უცნობია, რა ცვლილებებს განახორციელებს სამინისტრო კანონპროექტის იმ ვერსიაში, რომელიც პარლამენტს წარედგიება.

ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო ნორმებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი არეგულირებს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე სპეციალური კანონის მიღება მიზნად ისახავს საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდირებას ერთ ნორმატიულ აქტში და პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ მომზადებული კანონპროექტით გათვალისწინებულია ინფორმაციის საზედამხედველო ორგანოს შექმნა. საქართველოს პარლამენტი აირჩევს დამოუკიდებელ ორგანოს, ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერს, რომელიც არ დაემორჩილება არცერთ სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს. კომისიონერს საშუალება ექნება კონსულტაცია გაუწიოს დაწესებულებებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დააჯარიმოს საჯარო დაწესებულებები ინფორმაციის გაუცემლობისათვის, ვადის დარღვევისათვის და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ინფორმაციის დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონპროექტი ითვალისწინებს საჯარო დაწესებულების ვალდებულებას, გამცხადებელს გადასცეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ამ უკანასკნელს მისცემს საშუალებას, ინფორმაცია მისთვის სასურველი ფორმით დაამუშაოს.

კანონპროექტით ფართოვდება იმ დაწესებულებათა წრე, ვინც ვალდებული იქნება საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გამჭირვალობაზე. კერძოდ, კანონის მოქმედება გავრცელდება ყველა დაწესებულებაზე, რომელიც: (1) ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას; (2) ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან; (3) დაფუძნებულია სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ; (4) შექმნილია სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50 პროცენტიანი ან მეტი წილობრივი მონაწილეობით.

კანონპროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილ „საზოგადოებრივი ინტერესის ტესტს“, რომელიც საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს გაასაჯაროონ საიდუმლო ინფორმაცია, თუ საზოგადოებაში არსებობს განსაკუთრებით მაღალი ინტერესი და განსაიდუმლოებით მიღებული სიკეთე არსებითად აღემატება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებით დაცულ ინტერესს.

რეკომენდაციები

- ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა სამართალდამცავმა უწყებებმა ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლის სტატისტიკაში არსებული წინააღმდეგობები უნდა აღმოფხვრან და ამ მიზნით მკაფიო კრიტერიუმები უნდა ჩამოაყალიბონ;
- სტატისტიკა არ უნდა იწარმოებოდეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლთან დაკავშირებით და მან ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის სხვა დანაშაულებიც უნდა მოიცვას;
- საგამოძიებო ორგანოებმა უნდა აღრიცხონ და რეაგირება მოახდინონ მედიით გავრცელებულ საქმეებზე, რომლებიც ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელის შემშლელ საქმეებს ეხება;
- აღრიცხვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სახალხო დამცველის ანგარიშში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით შესული საქმეებიც;
- მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში უნდა მოიცავდეს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე რეგისტრირებულ დანაშაულთა და მისი გახსნის მაჩვენებლებს;
- მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიში მეტ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების, ასევე საქმის შეწყვეტის დასაბუთების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს საქმის კვალიფიკაციის და გამოძიების ტემპებისა და ეფექტურობის შეფასება.
- იუსტიციის სამინისტრომ უნდა დააჩქაროს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პარლამენტში ინიცირება, რათა აღმოიფხვრას პრაქტიკაში საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღების მხრივ არსებული ხარვეზები.

8 საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო – ოპოზიციის კანდიდატთა დამცავის პრობლემა

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ერთ-ერთი საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მმართველმა გუნდმა განახორციელა საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტებას უკავშირდებოდა. თუმცა, პრობლემებმა აღნიშნული კანონმდებლობის პრაქტიკული განხორციელების დროს იჩინა თავი.

„მაუწყებლობის შესახებ" კანონში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების შესახებ ცვლილებები 2013 წელს ივლისსა და ნოემბერში შევიდა. ცვლილებების შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს არსებული მოდელი გარდაიქმნა. საბჭოს წევრთა რაოდენობა 15-დან 9-მდე შემცირდა.[1] ამასთან შეიცვალა წევრთა არჩევის წესი. ძველი მოდელის მიხედვით, ყველა კანდიდატი შეირჩეოდა პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, კანდიდატებს კი ირჩევდა პარლამენტი. ახალი სისტემის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს კანიდატების შესარჩევ ღია კონკურსს და ნიშნავს შესარჩევ კომისიას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული. საჯარო განხილვების საფუძველზე კომისია არჩევს და პარლამენტს წარუდგენს კანდიდატებს, რომელთაგან თავის მხრივ კანონმდებლები კანდიდატურების ნომინირებას ახდენენ. საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მიერ ორი წევრი აირჩევა საქართველოს სახალხო დამცველის წარდგინებით, სამი – საპარლამენტო უმრავლესობის, სამი – საპარლამენტო უმრავლესობას მიღმა დარჩენილი შემადგენლობის (ოპოზიციის), ხოლო ერთი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.[2]

არჩევის წესის ცვლილება პოზიტიურად შეაფასა მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენელმა დუნია მიატოვიჩმა. მისი თქმით, საკანონმდებლო ცვლილებები „აუმჯობესებს არსებულ კანონს და საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობაში უფრო მეტ პლურალიზმს და გამჭირვალობას უზრუნველყოფს"[3]. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომად-

1 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" მუხლი 24; პუნქტი 1
2 საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" მუხლი 24; პუნქტი 2
3 http://www.civil.ge/geo/article.php?id=26705

გენლის ოფისის მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის ანალიზის თანახმად,[4] მცირერიცხოვანი საბჭო პოტენციურად უფრო ეფექტიანად ჩაითვალა, ხოლო წევრების არჩევის ახალი წესი – ევროპულ და სხვა განვითარებული ქვეყნების მოდელებთან – უფრო მიახლოებულად, სადაც ძალიან იშვიათია სრულად ღია კონკურსით არჩევის სისტემა, რამდენადაც ამ შემთხვევაში რჩება მანიპულაციის საშუალება და კანდიდატთა შერჩევაში სხვადასხვა არაფორმალურად დაინტერესებული მხარეების გაუმართლებელი ჩარევის რისკი.

ახალი მოდელი თავისი არსით პლურალისტურია, რადგან საბჭო დაპირისპირებული ინტერესების მქონე მხარეების მიერ კონსესუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების გზით ყალიბდება. მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა ასევე ის, რომ სამი კანდიდატი პარლამენტის საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ არსებული პოლიტიკური ძალების წარდგინებით აირჩევა, რაც შედეგად სამეურვეო საბჭოში პოლიტიკური გავლენისა და ინტერესების ბალანსს განაპირობებს. ეუთოს ანალიზის თანახმად, ოპოზიციის პირდაპირი ჩართულობა მნიშვნელოვანია ისეთ სიტუაციებში, როცა მმართველი ძალა წარმოდგენილია დიდი უმრავლესობით და ნებისმიერი სხვა დანაწესის პირობებში, ის მეურვეთა არჩევის პროცესში დომინირებას შეძლებდა. ახალი რეგულირება სწორედ ამ დომინირების თავიდან არიდებას ემსახურება. თუმცა, კანონის მიღებიდან 2 წლის შემდეგ ახალი მოდელის არასრულფასოვნად ამოქმედება აღნიშნულ ნორმას მის თავდაპირველ შინაარსს უკარგავს.

კანონის მიღებიდან 2 წელიწადზე მეტია საქართველოს პარლამენტში ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა ოპოზიციის მიერ ნომინირებულ კანდიდატებზე და სამეურვეო საბჭოში სწორედ ოპოზიციისთვის განკუთვნილი 2 ვაკანსიაა დაუკომპლექტებელი, რაც მაუწყებლის მმართველ რგოლში კანონმდებლობით შემოთავაზებულ ბალანსს და მრავალფეროვან წარმომადგენლობას ვერ უზრუნველყოფს. ამჟამად სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა ასე გამოიყურება:

ცხრილი 1. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა და ოპოზიციის ვაკანტური ადგილები

სამეურვეო საბჭო

უმრავლესობა: „ქართული ოცნება“	ოპოზიცია:	სახალხო დამცველი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო – 1
ნათელა სახოკია	ქეთევან მსხილაძე	მარინა მუსხელიშვილი	გიორგი კოხრეიძე
გრიგოლ გოგელია	X	ლელა გაფრინდაშვილი	
ალექსანდრე ვახტანგოვი	X		

[4] Analysis of proposed amendments to the Law of Georgia “On Broadcasting”, OSCE, March, 2013. http://www.osce.org/fom/100314?download=true

საქართველოს პარლამენტმა ოთხჯერ უყარა კენჭი მეურვეთა კანდიდატურებს და ვერცერთ შემთხვევაში ვერ მიაღწია კონსენსუსს ოპოზიციის კანდიდატებთან დაკავშირებით. სამეურვეო საბჭოს წევრთა პარლამენტში არჩევის ქრონოლოგია ასე გამოიყურება:

ცხრილი 2. საქართველოს პარლამენტში სამურვეო საბჭოს წევრებისთვის ხმის მიცემის ქრონოლოგია (2013-2014 წლები)

თარიღი	დამტკიცებული წევრები	არ დამტკიცდა
27 დეკემბერი, 2013	**უმრავლესობა:** ნათელა სახოკია **სახალხო დამცველი:** მარინა მუსხელიშვილი; **ოპოზიცია:** ქეთი მსხილაძე.	**აჭარის უმაღლესი საბჭო:** გენადი გელაძე; **სახალხო დამცველი:** ლელა გაფრინდაშვილი; **ოპოზიცია:** ნინია კაკაბაძე.
24 იანვარი, 2014	**სახალხო დამცველი:** ლელა გაფრინდაშვილი.	**აჭარის უმაღლესი საბჭო:** გენადი გელაძე; **ოპოზიცია:** ნინია კაკაბაძე.
11 მარტი, 2014	**უმრავლესობა:** გრიგოლ გოგელია, ალექსანდრე ვახტანგოვი **აჭარის უმაღლესი საბჭო:** გიორგი კოხრეიძე.	**ოპოზიცია:** ნინია კაკაბაძე, დავით კიზირია.
2 მაისი, 2014		**ოპოზიცია:** ნინია კაკაბაძე, დავით კიზირია.

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის" დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა სამეურვეო საბჭოს პირველ მცდელობაზე ვერდაკომპლექტება საზოგადოების დაბალ ინფორმირებულობას დაუკავშირა და საჯაროდ გააკრიტიკა პარლამენტის თავმჯდომარე პროცესის დაჩქარების გამო:

> **„საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით მე გავიხსენებ ერთ ქართულ ანდაზას – „მოჩქარეს მოუგვიანდესო" – ასე დაემართა დავით უსუფაშვილს. მან ცოტა იჩქარა და ინფორმირებულობა დააკლდა",** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა[5].

2014 წლის მაისის კენჭისყრის შემდეგ, როცა პარლამენტმა ოპოზიციის არცერთ კანდიდატს არ დაუჭირა მხარი, პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოს ახალი კონკურსი 2 ვაკანტურ თანამდებობაზე არ გამოუცხადებია.

მე-12 სამხრეთკავკასიური ყოველწლიური მედიაკონფერენციის ფორმატში, რომელიც თბილისში 2015 წლის სექტემბერში გაიმართა, მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენელმა დუნია მიატოვიჩმა კვლავ მოუწოდა პარლამენტს სრულად დაეკომპლექტებინა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, რაც მისი შეფასებით აუცილებელია საბჭოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის[6].

---

5 პირველი რადიო, 4 თებერვალი, 2014 http://pirveliradio.ge/?newsid=19557

6 Media.ge, 30 სექტემბერი, 2015. http://www.media.ge/ge/portal/news/303847/

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კრიზისის დაძლევის მექანიზმს იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა კვოტებზე საპარლამენტო ფრაქციებს შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ ხერხდება და ასევე მაშინ, როცა კონკურსის გამოცხადების ვალდებულებას პარლამენტი არ ასრულებს.

საბჭოს წევრების როტაცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ 7 არჩეული წევრის შემადგენლობით, რომლებიც პარლამენტმა სხვადასხვა დროს დაამტკიცა (იხ. ცხრილი 2), პირველი სხდომა 2014 წლის 21 მაისს გამართა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა. თუმცა, საბჭომ 2014 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით[7], ახალი წევრების არჩევამდე გადადო კანონის იმ ნორმის ამოქმედება, რომელიც მის წევრებს შორის წილისყრით როტაციის ვადების განსაზღვრას ითვალისწინებს. საბჭოს თავმჯდომარემ ეს გადაწყვეტილება მომავალში ასარჩევი წევრების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების არგუმენტით დაასაბუთა, ასევე აპელირება გააკეთა კანონზე, რომელიც არ აკონკრეტებს, თუ როდის უნდა ჩატარდეს წილისყრა.

2015 წლის ბოლომდე საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული არ იყო. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მეურვის უფლებამოსილების ვადაა არაუმეტეს 6 წლისა, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს ერთი მესამედი იცვლება 2 წელიწადში ერთხელ, როტაციის წესით.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იყოს როტაცია და საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედის ყოველ 2 წელიწადში განახლება, კანონის 2013 წლის რედაქციის გარდამავალი დებულებით განისაზღვრა კანონის ამოქმედებიდან პირველად არჩეული წევრების უფლებამოსილების განსხვავებული ვადები. გარდამავალი დებულებების მე-10 პუნქტის მიხედვით, კანონის ამოქმედების შემდეგ დანიშნულ სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის ტარდება წილისყრა, რომლის შედეგადაც განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა ისე, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედის უფლებამოსილების ვადა იყოს 2 წელი, ერთი მესამედის – 4 წელი და ერთი მესამედისა – 6 წელი. აღნიშნული წესი, რომელიც თავისი შინაარსით ერთჯერადი ხასიათისაა და საბჭოს პირველად დაკომპლექტებაზე ვრცელდება, უზრუნველყოფდა საბჭოს წევრთა ვადის იმ შუალედით ამოწურვასა და ახალი წევრების იმ დროისთვის არჩევას, რომ წევრთა ერთი მესამედის როტაციის მიზანი მექანიკური პროცესის შედეგად მიღწეულიყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ საბჭო სრულად დაკომპლექტდებოდა 2014 წელს, საბჭოს 3 წევრს 2 წლიანი ვადა ამოეწურებოდა 2016 წელს და ჩანაცვლდებოდა ახალი წევრებით, 2018 წელს კიდევ 3 წევრს ამოეწურებოდა უფლებამოსილების 4 წლიანი ვადა, ხოლო 2020 წელს 3 წევრს – 6 წლიანი ვადა. შესაბამისად, როტაციის პრინციპი იქნებოდა დაცული.

[7] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #273, 14 ივნისი, 2014. http://gpb.ge/uploads/documents/05659515-1758-4088-b141-7056b4a81e9f12%20ivnisi.pdf

იქედან გამომდინარე, რომ პარლამენტმა საბჭოს სრული შემადგენლობა არ დააკომპლექტა დროულად, 2014 წლის 12 ივნისს გამართულ სხდომაზე, რომელსაც საბჭოს 7 კაციანი შემადგენლობა დაესწრო, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, არ ჩაეტარებინა უფლებამოსილების ვადების განსაზღვრის კანონით გათვალისწინებული წილისყრის პროცესი დარჩენილი 2 წევრის არჩევამდე. იმ საფუძვლით, რომ კანონი არ აკონკრეტებს წილისყრის ჩატარების ვადას.

შედეგად მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადები განუსაზღვრელი იყო იმ პირობებში, როცა საბჭო 2014 წლის მაისიდან ასრულებდა მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებას.

მოქმედმა სამეურვეო საბჭომ წილისყრის არჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მიუთითა, რომ წილისყრის ჩატარების დრო კანონით განსაღვრული არ არის. კანონი მართლაც არ ასახელებს წილისყრის ჩატარების კონკრეტულ ვადას, თუმცა ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ წილისყრა უნდა ჩატარდეს საბჭოს წევრების არჩევისთანავე. საბჭოს დაკომპლექტებას, კი კანონმდებლობა ერთიან პროცესად მოიაზრებს, რომელიც გონივრულ ვადებში უნდა დასრულდეს. პროცესის გაჭიანურებამ წარმოშვა კრიზისი და წილისყრის არჩატარებამ გამოიწვია იმგვარი შედეგი, რომ უკეთეს შემთხვევაში საბჭოს რომელიმე წევრის უფლებამოსილების ვადა შეიძლება, სწორედ, მისი ამოწურვისას განისაღვროს.

საბჭოს წევრების ეტაპობრივი ჩანაცვლება მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მეურვეთა ჩანაცვლება პოლიტიკურ ცვლილებებთან არ იყოს დაკავშირებული. თავის დროზე მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენლის დუნია მიატოვიჩის კრიტიკა ახალი კანონპროექტის მიმართ სწორედ საბჭოს წევრების ერთბაშად დათხოვნას და არა ეტაპობრივ ჩანაცვლებას უკავშირდებოდა[8]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის გადაწყვეტილებაში[9], რომელიც სამეურვეო საბჭოს ძველი წევრების ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის არაკონსტიციურობის სარჩელს შეეხებოდა, აღნიშნა, რომ კანონით განსაზღვრული ვადა სწორედ ისეთ საჯარო ინტერესს უკავშირდებოდა, როგორიც თანამდებობის პირის საქმიანობაში ჩაურევლობაა. „ასე მაგალითად, მოსამართლე, სახალხო დამცველი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს წევრები სახელმწიფო თანამდებობის პირთა იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელთა საქმიანობაში ჩაურევლობის, მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობა კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადაა“, – აღნიშნულია საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებაში.

---

8 Analysis of proposed amendments to the Law of Georgia “On Broadcasting”, OSCE, March, 2013. http://www.osce.org/fom/100314?download=true

9 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 11 აპრილი, 2014. http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqeebi-davit-kandelaki-natalia-dvali-zurab-davitashvili-emzar-goguadze-giorgi-meladze-da-mamuka-fachuashvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-832.page

2016 წლის 8 თებერვალს ამ თემაზე მედიის განვითარების ფონდის ანგარიშის გამოქვეყნებას სამეურვეო საბჭოს მხრიდან რეაგირება მოჰყვა. 2016 წლის 25 თებერვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბწოს სხდომაზე ჩატარდა წილისყრა, რომლითაც მოქმედი წევრების, ასევე არარჩეული წევრების თანამდებობაზე ყოფნის ვადები განისაზღვრა.

რეკომენდაციები

იმისათვის, რომ ახალი რეგულირებით გაცხადებული პოზიტიური მიზნები შესრულდეს, აუცილებელია მისი რეალობაში განხორციელება. ნებისმიერი მატერიალური შინაარსის მქონე ნორმა კარგავს ამ შინაარსს, თუ პროცედურები მისი სრულყოფილად იმპლემენტაციის გარანტიას არ ქმნის.

- საქართველოს პარლამენტმა უნდა შეასრულოს კანონის მოთხოვნები, გამოაცხადოს კონკურსი კანონმდებლობით ოპოზიციისთვის განკუთვნილ 2 ვაკანტურ თანამდებობაზე და სრულად დააკომპლექტოს სამეურვეო საბჭო, რათა საზოგადოებრივი არხის მართვაში უზრუნველყოფილი იყოს განსხვავებული პოლიტიკური გავლენისა და ინტერესის ბალანსი, როგორც ეს კანონმდებლობის ახალი მოდელით არის განსაზღვრული.
- საქართველოს პარლამენტმა გადახედოს მაუწყებლობის შესახებ კანონს და გაითვალისწინოს კრიზისული სიტუაციების დაძლევის საკანონმდებლო მექანიზმები, რათა მომავალში გამორიცხული იყოს საკანონმდებლო ნორმების უგულვებელყოფის შესაძლებლობა, რამაც მის პრაქტიკულ განხორციელებაში იჩინა თავი.

www.mdfgeorgia.ge